მოყენებული იქნება, მაგალითად, ზოგადად ევროინტეგრაციის თეორიების პრინციპებისა და გამოწვევების კრიტიკული ანალიზისათვის, რასაც ასევე ითვალისწინებს ხსენებული პროგრამა. რა თქმა უნდა, ხსენებული კურსი მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტების, ნორმატიული, პოლიტიკური თუ სხვა დოკუმენტების მოძიებაში, შესწავლაში და გაანალიზებაში.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტების შესახებ კურსის მიზნები და შედეგები ასევე სრულად შეესაბამება ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, რომლებიც მაღალკვალიფიციური ექსპერტების მომზადებას ითვალისწინებს. კურსი უზრუნველყოფს საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ეკონომიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური საკითხების შესახებ უფრო სიღრმისეული ცოდნას. ყურადღება გამახვილდება პრაქტიკულ სარგებელსა და ცოდნის გამოყენებაზე, მათ შორის მოქალაქეთა გადაადგილების შესაძლებლობებისა და ევროკავშირის დახმარების პროგრამების შესახებ. შედეგად სტუდენტი დამოუკიდებლად უნდა შეძლოს საქართველოს ევროინტეგრაციის გამოწვევებისა და სარგებლის სიღრმისეული ანალიზი თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ასევე მეცნიერული აზრებისა და პოზიციების გათვალისწინებით. კრიტიკულმა ანალიზმა შესაძლებლობა უნდა მისცეს განასხვავოს ევროინტეგრაციაზე ობიექტურ ინფორმაცია და ანტიდასავლური პროპაგანდა. სტუდენტს უნდა განუვითარდეს ცოდნის შემდგომი გაღრმავებისა და გამოყენების უნარები. მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით სტუდენტები შეძლებენ პროგრამით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას. მათ შეეძლება ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების, ნორმატიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დოკუმენტების შესწავლა-შემუშავება, გაანალიზება, განმარტება და ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა.

ამ მიზნებისა და შედეგების მიღწევა თავისთავად მოითხოვს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების ეფექტიან გამოყენებას. დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით სწავლების თითოეული მეთოდის განხილვისთვის გამოვიყენოთ კონკრეტული მაგალითები, რომელზეც ავტორს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება უკვე დაუგროვდა. დისტანციურად ჯგუფური სწავლების მეთოდის გამოყენება ნაჩვენებია ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტების შესახებ კურსის ფარგლებში ევროკავშირისა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლასა და მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებით პრეზენტაციაზე მუშაობის მაგალითზე. ასევე ხსენებული კურსის ფარგლებში განხილულია როლური სწავლების თემა, რაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მუშაობის სიმულირების მეშვეობით განხორციელდება. შემთხვევებით სწავლების მეთოდის ელემენტების გამოყენება წარმოდგენილია ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ჩარჩოს შესახებ კურსის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სექტორული რეფორმის მაგალითზე. ამავე კურსის ფარგლებში ნაჩვენებია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის თემის ჩრილში.

ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენება

განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტების შესახებ კურსის ფარგლებში ევროკავშირისა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლასა და მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებით პრეზენტაციაზე მუშაობისას დისტანციური სწავლების მეშვეობით ჯგუფური და თანამშრომლობითი ელემენტების გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშნული სწავლების დროს სტუდენტები იღებენ დავალებას პრეზენტაციების ერთობლივად გაკეთების შესახებ, რომელშიც უნდა გადმოსცენ ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლის წინაპირობებისა და მოთხოვნების, განხორციელების მიმდინარეობის, სარგებელისა და სირთულეების შესახებ ასევე მოქალაქეთა გადაადგილებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალური მდგომარეობა და პრობლემატიკა, შეიმუშაონ მათი გადაჭრის რეკომენდაცი-

ები, ახსნან ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობა მობილურობის ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობის საჭიროება და ე.წ. ცირკულარული მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველა სტუდენტის ეფექტიანად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით კურსი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად და ყველას ეძლევათ განსხვავებული, მაგრამ ძირითად თემასთან დაკავშირებული პრეზენტაციების გაკეთების დავალება. მნიშვნელოვანია, დავალებასთან დაკავშირებული მიზნების მკაფიოდ განმარტება და ყველა მონაწილის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით მომზადების პროცესის დროს გარკვეულ მონაკვეთებში მონაწილეობა. ამ მხრივ სასარგებლოა ჯერ თვითონ სტუდენტებს ეთხოვოთ პრეზენტაციის მომზადებაში თითოეული სტუდენტის როლის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ ეტაპზე, შესაბამისი არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად მოხდეს ამ როლების ოპტიმიზაცია დატვირთვის თანაბრად გადანაწილებისა და უნარებზე მორგების მიზნით.

ზოგადად, სასწავლო პროცესში ჯგუფური და თანამშრომლობითი ელემენტების გამოყენება იძლევა კრეატიული განხილვის, გააზრების, დისკუსიაში მონაწილეობის, საქმიანობის ერთმანეთში გადანაწილების, კოორდინაციის, კომუნიკაციის და სოციალური ურთიერთობების უნარების განვითარების შესაძლებლობას. თუმცა დისტანციური ჯგუფური სწავლებისას იკვეთება გარკვეული სირთულეები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ერთერთი სირთულეა რამდენიმე ჯგუფის ერთ ელექტრონულ პლატფორმაზე სინქრონულად მაგრამ ამავე დროს განცალკევებით მუშაობის საჭიროება. დისტანციური სწავლება არ იძლევა ერთ ადამიანზე მეტის ერთდროულად საუბრის საშუალებას. ამიტომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილია სტუდენტების თითოეული მცირე ჯგუფისათვის თავისი ცალკე სადისკუსიო შეხვედრის ფორმატით უზრუნველყოფა. ამავე დროს მნიშვნელოვანია ლექტორმაც მიიღოს მონაწილეობა პრეზენტაციის შემუშავების გარკვეულ ნაწილში მაინც. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს განვმარტოთ ჯგუფური მუშაობის განაწილების დეტალები, ავუსხნათ ამ კონკრეტულ თემაზე პრეზენტაციის უნარების განვითარების/წარმოჩენის შესაძლებლობები და დავაკვირდეთ სტუდენტის აქტიურობასა და ჩართულობას მისი შემდგომი შეფასების მიზნით. ამასთან ერთად, მიმაჩნია, რომ არ არის აუცილებელი და პირიქით არასწორია ლექტორის მიერ პრეზენტაციის შემუშავების მთლიანი პროცესის განმავლობაში მონაწილეობა. ამიტომ ლექტორს შეუძლია რიგ-რიგობით ჩაერთოს თითოეულ მინი-ჯგუფს და ასე უზრუნველყოს მათი საქმიანობის სწორად წარმართვა.

კიდევ ერთი სირთულეა, მცოდნე მაგრამ კომუნიკაციის თვალსაზრისით ნაკლებად აქტიური სტუდენტების დისტანციური ფორმატის გამო კიდევ უფრო პასიურობა. დისტანციური ფორმატი, ხომ, გარკვეულწილად, ზღუდავს ინტერაქციის ემოციურ კომპონენტს და შესაბამისად არ უბიძგებს ჩართულობისა და აქტიურობისაკენ. აღნიშნულის შესახებ საუბარია ჰანგ შუს და ჰიოკინ გუს სტატიაში ონლაინ და ჩვეულებრივი სწავლების შედარების შესახებ, კერძოდ ნათქვამია რომ: „ონლაინ სწავლების ოფიციალური გარემოსთან შედარებით საკლასო სწავლების გარემოში დისკუსიები უფრო ღიაა და ღრმა ანალიზით ხასიათდება“ (2018, გვ.17). ამიტომ პრეზენტაციის შემთხვევაში აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს თავისი როლი. სასურველია, ეს როლი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მისი უნარების წარმოჩენას. მნიშვნელოვანია, სტუდენტების კრეატიულობის წახალისებაც.

შეიძლება, ასევე, სირთულე გამომდინარეობდეს ნაკლებად მცოდნე და ნაკლებად აქტიური სტუდენტის მცდელობიდან თავი გაიტანოს სხვისი ნამუშევრის ხარჯზე. მათ ამ მიზნით შეიძლება მოიშველიონ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები. ერთი მხრივ, ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია შეფასების სისტემის მეშვეობით. მაგალითად, სტუდენტებმა წინასწარ უნდა იცოდნენ რომ ფასდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტი - პრეზენტაცია, არამედ მათი მონაწილეობაც და მცირე ჯგუფის სხვა და სხვა წევრებს განსხვავებული შეფასება შეიძლება ჰქონდეთ, ამასთან, ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრის პასუხისმგებლობაც ინდივიდუალურია. თუმცა, პრობლემის ამდაგვარი გადაწყვეტის შემთხვევაში გართულდება თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენება. ამიტომ ვფიქრობ ზემოთხსენებული პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში ლექტორმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოს შესაბამისი მინი-ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციას, რათა უზრუნველყოს პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება და ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის დაბალანსება. შეფასებისას კი, პრიორიტეტი ერთობლივი მიზნის მიღწევას მიენიჭება. ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტაშიც შესაძლოა, მთელი ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევის და ურთიერთდახმარების მოშველიება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ჩვეულებრივი ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენებისას იჩენს თავს ნაკლებად აქტუალურია დისტანციური

სწავლებისას. ასე მაგალითად, დროის არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა, არადაკავშირებული თემების განხილვა უშუალო პიროვნული ურთიერთობების პირობებში ნაკლებად იჩენს თავს დისტანციური სწავლებისას, რომლის დროსაც ემოციური და ვიზუალური კონტაქტი შეზღუდულია.

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენება შესაძლებელია დისტანციური სწავლების პირობებშიც. თუმცა, დისტანციური სწავლებისას არსებული შეზღუდვების გამო ჯგუფური და თანამშრომლობითი ელემენტების გამოყენება შეიძლება არ იყოს ისეთივე ეფექტური როგორც კონტაქტური სწავლებისას. ამავე დროს, დისტანციური სწავლებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია და ამაში თვითონ სტუდენტებსაც შეუძლიათ თავისი წვლილის შეტანა. არსებობს ისეთი საკითხებიც რომელთათვის ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენებისას დისტანციური სწავლება პრობლემის გადაჭრას აადვილებს.

როლური სწავლების მეთოდი

საინტერესოა, დისტანციურად როლური სწავლების მეთოდი გამოყენების საკითხების განხილვა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტების შესახებ კურსის ფარგლებში. ამ შემთხვევაში როლური სწავლების მეთოდი გამოიყენება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მუშაობის სიმულირების მეშვეობით. კურსი იყოფა ორ ჯგუფად: ერთს ეკისრება ევროკავშირის წარმომადგენლების როლის შესრულება, ხოლო მეორეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების. თითოეულ მხარეს განემარტება მათი მოვალეობები, ამოცანები და მიზნები როგორც ჯგუფის ასევე ინდივიდის დონეზე. ყოველი სტუდენტი ერთი რომელიმე მაღალი თანამდებობის პირის როლს ასრულებს. დამატებით სტუდენტებს განემარტება ასოცირების საბჭოს ფუნქციონალური დატვირთვა, ასევე მისი მიმდინარეობის სავარაუდო დღის წესრიგი და პროტოკოლური საკითხები. ამ დროს მნიშვნელოვანია სტუდენტებმა თვითონ იმსჯელონ და გადაინაწილონ შესაბამისი როლები, ასევე განახორციელონ თავისი ჩართულობის მოსამზადებელი სამუშაოები. აღნიშნული ფორმატი იძლევა კარგ შესაძლებლობას გავამყაროთ კავშირი ცოდნასა და გამოცდილებას შორის, ამასთან აქცენტი გავაკეთოთ კრეატიულობასა და აზროვნების განვითარებაზე. შედეგად, გვაქვს კეთებით სწავლის მეთოდის ელემენტების ფართო გამოყენების შესაძლებლობაც.

ზოგადად აღწერილი სახის სიმულირება სტუდენტების აქტიური მონაწილეობის, შესასწავლი საკითხების მნიშვნელობის ხაზგასმის, პრობლემატურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების და ა.შ., პერკინსის სწავლების პრინციპების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროს წარმოდგენილ მაგალითში ვაწყდებით გარკვეულ პრობლემურ საკითხებს. მაგალითად:

დისტანციურად სიმულირების სასწავლო პროცესისას რთულია იმ ემოციური შემადგენლის შენარჩუნება, რომლის გენერირებაც ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის დროს ხდება. ამ სირთულის სრულიად ამოფხვრა ვფიქრობ შეუძლებელია. ემოციური ფონის გარკვეულწილად ამალვებას შეიძლება შეუწყოს ხელი სიმულირების დროს ყველა მონაწილისათვის მნიშვნელოვანი და საჭირობოროტო საკითხების განხილვამ, ასევე ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად გარკვეული ვიზუალური მაინტენტიფიცირებლების მოშველიება, მაგალითად მცირე ზომის დროშები და ა.შ.

ორ დიდი ჯგუფად დაყოფის დროს დიდია ალბათობა, რომ ყველა სტუდენტი ვერ იქნება თანაბრად აქტიური. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ლექტორის სწორი კოორდინაციის შემთხვევაში. ამ მიზნით, სასურველია, სიმულირების მოსამზადებელ ეტაპზე სტუდენტებთან ერთად განხილვას დაეექვემდებაროს თითოეული მათგანის როლი და ჩართულობის რეგლამენტი, უზრუნველყოფილი იქნას მათი უნარების მინიჭებულ როლზე მორგება. ასევე მიზანშეწონილია სტუდენტების ყურადღება განსახილველ აქტუალურ და საჭირობოროტო საკითხებზე გამახვილდეს, რაც დისკუსიის ინსპირირების საშუალებას იძლევა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ კუთხით დისტანციური სიმულირების სარგებლიანობის თაობაზე აღნიშნულია ლოველისის et al. სტატიაში კრიტიკული აზროვნების განვითარებაში ინტერნეტ სიმულაციების შესაძლებლობების შეფასების შესახებ, კერძოდ მათი მოსაზრებით: „ ჩვენ ... აღმოვაჩინეთ, რომ ინტერნეტის გამოყენებით სიმულაციების მოწყობა წარმოადგენს ხელსაყრელ დამატებით პედაგოგიურ საშუალებას კრიტიკული აზროვნების უნარჩვევების განვითარებისათვის“ (2016, გვ 100). კომუნიკაციების უნარების განვითარებისთვის და დამატებითი ცოდნის გამოსავლენად ასევე შეიძლება ურთიერთშეფასების ელემენტის გამოყენება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როლური სწავლება იძლევა გამოცდილებისა და ცოდნის დაკავშირების, კრიტიკული აზროვნების განვითარების, კეთებით სწავლების და პერკინსის სწავლების ელემენტების გამოყენების კარგ შესაძლებლობებს. თუმცა, დისტანციური საშუალებებით სიმულირების განხორციელებას თან ახლავს გარკვეული პრობლემებიც, მაგალითად ემოციური ფონის შექმნასა და აქტიურობასთან დაკავშირებული. მათი სრულად აღმოფხვრა პრაქტიკულად შეუძლებელია თუმცა, სწავლების პროცესში გარკვეული მიდგომები უზრუნველყოფს პრობლემატური თემების შემცირებას.

შემთხვევებით სწავლების მეთოდი

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ჩარჩოს შესახებ კურსის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმის მაგალითზე, შესაძლებელია, დისტანციურად შემთხვევებით სწავლების მეთოდის გამოყენებას. რეფორმად შერჩეულია ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების სტანდარტების ევროკავშირის ნორმებთან დაახლოების საჭიროება. აღნიშნული ქვეყნის ხელისუფლებისათვის წარმოშობს გარკვეულ დილემას, რომლის მიხედვით აღნიშნული სტანდარტები მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციისთვის, გარემოს სისუფთავისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის ასევე საავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილების უსაფრთხოებისათვის. მეორეს მხრივ, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონის გათვალისწინებით შესაბამისი რეფორმა მნიშვნელოვნად ტვირთად დააწვება ძველი წარმოების ავტოტრანსპორტის მფლობელებს. კურსის დროს სტუდენტების წინაშე ისმება ზემოთხსენებული პრობლემა და გამოსავლის მოძებნის მიზნით ეძლევათ თავისი მოსაზრებების გამოთქმისა და დისკუსიის წარმოების საშუალება. მათი პასუხები დარდება რეალურ სიტუაციაში მოძებნილ გამოსავალთან. განიხილება ამ საკითხზე საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის წარმოებული თანამშრომლობა.

როგორც ცნობილია შემთხვევებით სწავლების მეთოდი ხელს უწყობს კრიტიკული ანალიზისა და აზროვნების უნარის განვითარებას. მოცემული შემთხვევა შეიცავს პრობლემასაც და მისი შესწავლისას ასევე შესაძლებელია პრობლემის დასმის სწავლების მეთოდის გამოყენებაც. ამრიგად სტუდენტებს ეძლევათ პრობლემაზე მსჯელობისა და გამოსავლის მოძიებისას კრეატიული იდეების გამომუშავების უნარების განვითარების შესაძლებლობაც. ამასთან, რობერტ ინის კლასიფიკაციით პრობლემას შეგვიძლია განმარტებითი ვუნოდოთ, რადგან არსებობს მკაფიო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პრობლემას, მის მიზეზებსა და გადაჭრის შესაძლებლობებს შორის. ეს მაგალითი იმითაც არის კარგი, რომ პასუხი შეირჩევა ღირებულებითი პარამეტრების გათვალისწინებით. ამგვარად, ეს შემთხვევა ხელს უწყობს სტუდენტებში ღირებულებების ჩამოყალიბებასაც. მაგალითი, რომელსაც რეალურ სიტუაციას ასახავს და პრაქტიკული ხასიათი აქვს, ასევე იძლევა კარგ შესაძლებლობას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დემონსტრირებისა და გააზრებისათვის. ხოლო მსჯელობის დროს, რა თქმა უნდა, ხდება სოციუმთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

უნდა აღინიშნოს რომ შემთხვევებით სწავლების განხორციელება პრაქტიკულად ისეთივე წარმატებით შეიძლება მოხდეს დისტანციური სწავლების პირობებში, როგორც კონტაქტური სწავლებლის დროს. თანამედროვე ტექნიკური საშუალებები ლექციაზე მასალის ახსნისათვის იძლევა ფართო საშუალებებს, მათ შორის პრეზენტაციისა თუ ვიდეოფილმის ჩვენების, რათა უზრუნველყოფილი იქნას ინფორმაციის სათანადო ფორმით და ეფექტიანად მიწოდება. ამჯერად, ხსენებული კურსის დროს გამოყენებულია პრეზენტაცია შემხვევასთან დაკავშირებული ძირითადი მონაცემების, წინაპირობების, მიზნების, ჩართული ინსტიტუტებისა და შესაძლო შედეგების განსამარტავად.

დისტანციური სწავლებისას გარკვეული სირთულეები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ შემთხვევის განხილვის ნაწილში, როდესაც დისკუსიის ვიზუალური და ემოციური ფაქტორები უშუალო კონტაქტის არარსებობის გამო შეზღუდულია. ამ შემთხვევაში უფრო რთულია სტუდენტების გონების ე.წ. შემოქმედებითი დაპყრობა. რთულდება ასევე ზოგიერთი, ჩვეულებრივ პირობებში მარტივი პროცედურა, მაგალითად ამა თუ იმ მოსაზრების მხარდამჭერთა აღნუსხვა თუ ყველა მონაწილეს ვიდეო გამოსახულება არ არის ჩართული და ტექნიკური მიზეზებით ვერ ხერხდება. არა მარტო გამოკითხვისას, არამედ მთლიანად განხილვის ნაწილში მნიშვნელოვანია ყველა სტუდენტს ჩართული ჰქონდეს ვიდეო თვალი და მიწერილი ჰქონდეს თავისი სახელი. აღნიშნული მარტივი ტექნიკური საკითხების

მოუგვარებლობამ შესაძლოა შემთხვევებით შესწავლის მეთოდის გამოყენების ეფექტიანობა და დადებითი შედეგები საგრძნობლად შეამციროს.

ზოგადად, ხსენებული მცირე პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ლექტორის მიერ სწავლების პროცესის სწორი მოდერაციით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ჩართულობა დისკუსიებში, თემის ღირებულებით მხარეებზე ყურადღების გამახვილება, დისკუსიებში ანალიტიკური მიდგომების წახალისება, საკითხში გარკვევის მაღალი მოტივაცია. კეისის მეთოდი იძლევა საშუალებას სწავლება გახდეს უფრო სახალისო და ამ მეთოდის დისტანციურად გამოყენება არ უნდა გახდეს ამ უპირატესობის დაკარგვის მიზეზი. ლექტორის სწორი მოდერაციით აღნიშნულის მიღწევა სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია. სწორი მოდერაციის ქვეშ იგულისხმება როგორც თემატური მითითებები და სოციალური ურთიერთ-თანამშრომლობის წარმართვა, ასევე, ტექნიკური მოთხოვნების დაყენება და მათი მკაცრი დაცვა. ზოგიერთ მკვლევარი შემთხვევებით სწავლებისას დისტანციური ონლაინ საშუალებების გამოყენების გარკვეულ/მცირე უპირატესობებზეც კი მიუთითებს, მაგალითად ჩენი et al. თავის ნაშრომში ონლაინ ასინქრონულ გარემოში შემთხვევებით სწავლების ეფექტურობის შესახებ (2006, გვ.84) მიაჩნიათ, რომ შემთხვევებით ჩვეულებრივ საკლასო სწავლებისგან განსხვავებით, ონლაინ საშუალებებით სარგებლობისას სტუდენტები იყენებენ წერით კომუნიკაციის საშუალებასაც და იძულებულნი არიან თავისი აზრები უკეთ დაალაგონ და ლაკონურად მიიწერონ რაც მათთვის დამატებითი სარგებლის მომტანია.

ამრიგად, საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ჩარჩოს შესახებ კურსის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმის მაგალითზე, შემთხვევებით სწავლების მეთოდის გამოყენება დისტანციურად ისეთივე წარმატებით შეიძლება, როგორც კონტაქტური სწავლებისას. შემთხვევის განმარტების ნაწილში დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები მოსალოდნელი არ არის. გარკვეული სირთულეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შემთხვევის განხილვის ნაწილში და უკავშირდება ვიზუალურ და ემოციურ შეზღუდვებს ადვილად მოგვარებადია ლექტორის მხრიდან სწორი მოდერაციის პირობებში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

ზემოთ ხსენებულ შემთხვევებით სწავლების მეთოდში უკვე გამოყენებული იყო პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები, თუმცა, ამ შემთხვევაში, მიზანი არა თვითონ დასმული პრობლემური საკითხის შესწავლა, არამედ მასთან და ზოგადად რეფორმებთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური და ეკონომიკური შემადგენლის განხილვა და გააზრება წარმოადგენდა. ამიტომ მისი კლასიფიკაცია უფრო შემთხვევებით შესწავლის მეთოდად შეიძლება მოვახდინოთ. აღნიშნულისგან განსხვავებით, ამჟამად მინდა განვიხილო პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რომელიც ამ შემთხვევაში თვითონ პრობლემური საკითხის შინაარსის შესწავლაზეა ორიენტირებული.

შესაბამისად, ამჟამად განვიხილავთ ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ზოგადი ჩარჩოს შესახებ კურსის ფარგლებში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებას ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის თემის ქრილში. ჩვენი ინტერესი ამასთან არის ამ მეთოდის დისტანციური სწავლების ქრილში გამოყენება.

ამ მეთოდის გამოყენების მიზნით, წარმოდგენილი იქნება ანტიდასავლური და ევროკავშირის წინააღმდეგ პროპაგანდის კონკრეტული მესიჯები და სტუდენტებს ეთხოვებათ ამ მესიჯების საწინააღმდეგო და გამაბათილებელი არგუმენტების წამოყენება. უკეთესია თუ ეს მესიჯები სტუდენტებს წინასწარ გადაეცემათ, რათა მათ შეძლონ თავისი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად დამატებითი მასალების მოძიება/დამუშავება. თითოეული პროპაგანდისტული მესიჯის საწინააღმდეგო არგუმენტაციის განხილვას/ბრენსტორმინგს ცალკე დრო დაეთმობა. სტუდენტები არ იყოფიან ჯგუფებად და მიმდინარეობს საერთო დისკუსია. მნიშვნელოვანია, ყველა სტუდენტს მიეცეს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება. შესაძლებელია სხვისი მოსაზრებების შეფასებაც და კონტრარგუმენტების გამოთქმა. ასევე შესაძლებელია კენჭისყრის ჩატარება რომელ არგუმენტებს მიიჩნევს აუდიტორია უფრო მყარად. ამასთან ხშირად ერთადერთი და სწორი პასუხები წარმოდგენილ განსასჯელ თემაზე არ არსებობს და მნიშვნელოვანია მოხერხდეს წარმოთქმული მოსაზრებების გარკვეული შეჭერება და დასკვნების გაკეთება. შემდგომში სტუდენტებს განემარტებათ რას ნიშნავს ჰიბრიდული საფრთხეები და როგორ

ხდება ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოება, რა არის მისი ხერხები და მიზნები, როგორია მათზე რეაგირების პრაქტიკა და რა მიდგომა აქვს ამ მხრივ არჩეული საქართველოს.

მინდა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს ღირებულებითი კომპონენტის გამოყოფის საშუალებას. ხშირად პროპაგანდის ელემენტები აგებულია ე.წ. ევროპული ღირებულებების, მაგალითად დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებების დაცვის, გამობატვის თავისუფლების და ა.შ. წინააღმდეგ. ანუ იმ ღირებულებების წინააღმდეგ, რაც აკავშირებს ერთმანეთს ევროპულ საზოგადოებასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. შესაბამისად, პროპაგანდის წინააღმდეგ გამოთქმული არგუმენტების ჩამოყალიბებისას სტუდენტს უნევს ამ ღირებულებების სარგებელის ღრმად გააზრება და გათავისება. სწავლების დროს აქცენტი სწორედ ამდაგვარი, ღირებულებებთან დაკავშირებული პროპაგანდის თემებზე გაკეთდება. გამოსაყოფია კიდევ მცდარ ან დამახინჯებულ ინფორმაციაზე აგებული პროპაგანდისტული მითები, რაზეც ასევე მნიშვნელოვანია პასუხის გაცემა. ამ შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ და გაეცნონ მართებულ და ობიექტურ ინფორმაციას. ამ მეთოდით მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას აქვს დიდი პრაქტიკული დანიშნულება, რადგან სტუდენტები თავის ცხოვრებაში ანტიდასავლური პროპაგანდის მაგალითებს ძალზედ ხშირად აწყდებიან. ამრიგად, მათ არა მარტო თვითონ ექნებათ უნარი გამოარჩიონ და გამოიცილონ აღნიშნული პროპაგანდა, არამედ არგუმენტირებულად დაიცვან ობიექტური მოსაზრებები და სხვადასხვა დაეხმარონ მართებული სოციალური თუ პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებაში.

როგორც ჩემს პრაქტიკულ გამოცდილებაზე, ასევე ამ თემაზე არსებულ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს იზრდება სტუდენტთა მოტივაცია და ინტერესი განხილული საკითხის მიმართ, რაც ხელს უწყობს მის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტებს უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარები.

ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის თემის ქრილში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებას დისტანციური სწავლებისას ჩვეულებრივთან შედარებით პრინციპული განსხვავებები არ გააჩნია. ტექნიკური მხარე აძლევს ლექტორს საშუალებას პრაქტიკულად სრულფასოვნად წარმართოს სწავლების პროცესი, უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა, განახორციელოს თემის შინაარსისა და დროის კონტროლი, ასევე მოახდინოს სტუდენტთა შეფასება. ზოგიერთი ტექნიკური საშუალება, მაგალითად წერილობითი კითხვების გამოგზავნის საშუალება იძლევა შესაძლებლობას უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ლექციის დრო. თუმცა დისკუსიისა და მოტივაციის მხარდასაჭერად მიზანშეწონილია ზეპირსიტყვიერი დისკუსიის წარმართვა.

იმის გათვალისწინებით, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ლექტორსა და სტუდენტს ასევე თვითონ სტუდენტებს შორის ფართო ინტერაქციას მოითხოვს მისი დისტანციურად წარმართვა, რა თქმა უნდა, გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში ეს ეხება განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ემოციური მდგენელის წინ წამოწევის შეზღუდულ შესაძლებლობას, ასევე სტუდენტების მხრიდან გუნდურობის შეგრძნების ჩამოყალიბებას და კომუნიკაციის არალინგვისტური შესაძლებლობების გამოყენებას. გარკვეულწილად რთულდება ასევე ყველა სტუდენტის მხრიდან მაღალი ინტერესისა და აქტიურობის უზრუნველყოფის ამოცანა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაშიც, ასევე როგორც იყო შემთხვევებით სწავლებისას, აღნიშნული სირთულეების გადალახვის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ლექტორის მხრიდან სწავლების პროცესის სწორ წარმართვასა და მოდერირებას. მნიშვნელოვანია, ყველა სტუდენტმა დასაწყისშივე სწორად გაიაზროს სწავლების მიდგომები და პრინციპები ასევე დასახული თემატური ამოცანა, ასევე, მას უშუალოდ ლექციამდე ჰქონდეს განსახილველი საკითხის შესახებ ინფორმაცია და იმუშაოს დამატებითა ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაზე. ლექტორმა, მოდერაციის დროს ასევე უნდა წაახალისოს დისკუსია, შეეცადოს სტუდენტების ინტერესის გაზრდა საკითხის ღირებულებითი და პრაქტიკული ასპექტების ხაზგასმით და უზრუნველყოს მათი მაქსიმალურად ჩართულობა განხილვებსა და დებატებში. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ისეთი მარტივი ტექნიკური მხარის სრულად მოწესრიგება, როგორც, მაგალითად, ყველა მონაწილის მიერ ჩართული ვიდეო თვალი და გამოსახულების ქვეშ სახელის დაწერა.

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ზოგა-

დი ჩარჩოს შესახებ კურსის ფარგლებში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დისტანციურად გამოყენება ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის თემის ქრილში წარმატებით არის შესაძლებელი და დაკავშირებულია მხოლოდ მინიმალურ სირთულეებთან. ასეთებად ძირითადად განიხილება მაღალი ემოციური ფონისა და დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის საჭიროება. ამასთან, ამ სირთულეების მნიშვნელოვანწილად გადალახვა შესაძლებელია სწავლების სწორი დაგეგმვისა და აქტიური მოდერაციის პირობებში. მაკლინდენი et al. ბირმინგემის უნივერსიტეტიდან თავის სტატიაში „მონაწილეობა ონლაინ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში: დაკვირვება მასწავლებელთა დიპლომის შემდგომ სწავლის პროცესზე ღია და დისტანციური სწავლების მეშვეობით“ აღნიშნავს, რომ: „...სასწავლო ტექნოლოგიების შესაბამისი დიზაინისა და გამოყენების მეშვეობით პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება იყოს ადაპტირებული ღია და დისტანციური სწავლების გზით სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის“ (2006, გვ. 348).

შეფასების სირთულე

ზოგადად შეფასება საკმაოდ რთული პროცესია და მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლების პირობებში ობიექტური და სამართლიანი შეფასება კიდევ უფრო რთულდება. ეს სირთულეები განსაკუთრებით იჩენს თავს წერილობითი გამოცდის პირობებში ცოდნის შემაჯამებელი, განმსაზღვრელი შეფასებისას, როდესაც საკმაოდ რთულია სტუდენტის მიერ ცოდნის კეთილსინდისიერად წარმოცენის სრულად გაკონტროლება. კონკრეტულად საუბარი ეხება წერილობით გამოცდას, რომლის დროსაც სტუდენტებს ეძლევათ დავალება წერილობით უპასუხონ განვლილ მასალასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს. სტუდენტებს ამ დროს მოეთხოვებათ ვიდეო თვალის ჩართული დატოვება და ინტერნეტ წყაროების გამოყენებისაგან თავის შეკავება. სამწუხაროდ, პრაქტიკაში არის დისტანციური გამოცდის შეზღუდვების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. სტუდენტის მხრიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს პლაგიატს ინტერნეტით მოძიებული შესაბამისი ინფორმაციის გამოყენებით. ამასთან ხშირად ხდება მასალის რომელიმე სხვა ენაზე მოძიება, შემდგომ ავტომატური ონ-ლაინ სათარგმნი პროგრამებით გადათარგმნა და ნათარგმნი ტექსტის კოპირება. აღნიშნული მნიშვნელოვნად ართულებს ნაშრომების შემოწმების დროს საძიებო სისტემების გამოყენებით პლაგიატის დადგენას.

ზემოაღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემის კონტროლის გამკაცრების გზით გადანყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ, ვფიქრობ, საჭიროა ცოდნის შემოწმების ფორმატის შეცვლა და ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებზე პასუხის გაცემა არა უბრალოდ ინფორმაციის წარმოდგენას მოითხოვს, არამედ კრიტიკული აზროვნების გამოვლენასა და საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომას. აღნიშნულს ხაზს უსვამენ ესპინოზა და ნაიერა თავის სტატიაში „როგორ გამოვასწოროთ სწავლების მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს პლაგიატს: რეკომენდაციები მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან ესპანური ენის დისტანციური სწავლების უნივერსიტეტიდან“, სადაც მოცემულია რეკომენდაცია: „მოვითხოვთ შემოქმედებითი ინდივიდუალური სამუშაო, რომლის პლაგიატი შეუძლებელია, რადგან მისი შექმნა მხოლოდ მოსწავლის გონებით შეიძლება“ (2014, გვ. 1076). ხსენებულთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტისათვის სწორი შეფასების მნიშვნელობის ახსნასაც. სასურველია სტუდენტმა გაითავისოს, რომ მისსავე ინტერესშია ობიექტური ინფორმაციის მიღება სწავლაში საკუთარი წარმატებებისა და სირთულეების შესახებ. შეფასებას ხომ მრავალი მიზანი აქვს, რომელთა შორისაა შემდგომი სწავლის პროცესის სწორად დაგეგმვა და დამატებითი ცოდნის მიღების წახალისება. სწორედ აღნიშნული მიზნების განმარტება შეიძლება იქნას მოშველიებული სწავლის ამ სტატიაში მოყვანილი სწავლების მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც.

ზემოსხენებულის შესაბამისად:

- სწავლის პროცესში ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზომიმოსვლასა და მოქალაქეების გადაადგილების შესახებ პრევენტაციაზე მუშაობისას ჯგუფური და თანამშრომლობითი ელემენტების გამოყენების დროს შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებული იქნას სტუდენტთა ურთიერთშეფასება, ცოდნისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარის შეფასება, საერთო საქმეში აქტიური მონაწილეობა.
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მუშაობის სიმულირების მეშვეობით როლური სწავლების მეთოდის გამოყენების დროს შეფასების გაკეთებისას გამოჩენილ

ცოდნასთან ერთად, შესაძლებელია, ყურადღება გამახვილდეს როლის სწორად გააზრებაზე, გახსნილობასა და თანამშრომლობისადმი მზაობაზე, აქტიურობაზე. ასევე მიზანშეწონილია სტუდენტებს ეთხოვოთ ურთიერთშეფასება.

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმის მაგალითზე დისტანციურად შემთხვევებით სწავლების მეთოდის გამოყენების დროს შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას სტუდენტის აქტიურობა, კომუნიკაციის უნარი, ანალიტიკური შესაძლებლობები და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ანალოგიური შეიძლება ითქვას, შეფასების შესახებ ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის თემის ქრილში, პრობლემაზე დაფუძნებული დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც.

ყველა ზემოთხსენებული მეთოდით დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია და სასურველიცაა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებების გამოყენება კომენტარების სახით. აღნიშნულით კიდევ უფრო ნახალისდება სტუდენტთა ინტერესი, დამოუკიდებლობა და თვითდაჯერებულობა, ამასთან გაიზრდება სწავლების ხარისხი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ბერიკა შუკაკიძე აღნიშნავს რომ: „დისტანციური სწავლების ფორმატმა, კიდევ უფრო გააქტიურა განმავითარებელი შეფასების მოდელზე გადასვლისა და ნიშნების გაუქმების საკითხი.“ (2020, ქალბატონი ეთერ ღვინერიას პრეზენტაციაში შეფასების შესახებ, სლაიდი 20) ვეთანხმები ამ მოსაზრების პირველ ნაწილს, რომ დისტანციურ სწავლებას განმავითარებელი შეფასება უკეთ ერგება, თუმცა, მიმაჩნია, რომ ნიშნების, ან, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ქულების მინიჭების პრაქტიკის შენარჩუნებაც მნიშვნელოვანია შეფასებასთან დაკავშირებული დადებითი შედეგების მაქსიმალიზაციის მიზნით.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ დისტანციური სწავლებისას კიდევ უფრო აქტუალურია ამ სტატიაში მოყვანილი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენება, რადგან ტრადიციული ლექცია-წერილობითი გამოცდის სქემასთან შედარებით, ეს მეთოდები ზრდის შეფასების ობიექტურობასა და სიზუსტეს, ახალისებს ინდივიდუალიზმსა და განათლების მიღების სურვილს/ინტერესს.

დასკვნები

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია სწავლა-სწავლების რამდენიმე თანამედროვე მეთოდის გამოყენება დისტანციური სწავლების პირობებში. კერძოდ განხილულია დისტანციურად ჯგუფური სწავლების, როლური სწავლების, შემთხვევებით სწავლებისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენება.

სტატიაში შედარებულია ამ მეთოდების გამოყენება კონტაქტური სწავლებისა და დისტანციურ სწავლების დროს. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილია დისტანციური სწავლებისას მოსალოდნელი სირთულეებისათვის და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ასეთი სირთულეების გადალახვის შესაძლო გზების შესახებ.

სტატიაში მოყვანილი ანალიზი კონკრეტულ სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად ეყრდნობა საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დამიგროვდა როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის თემის სწავლების, ასევე ამ თემებზე 15 წლის განმავლობაში საჯარო სექტორში სხვა და სხვა თანამდებობაზე უშუალოდ მუშაობის შედეგად. სწავლების ზემოთხსენებული მეთოდების პრაქტიკულ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციის საკითხებზე საქმიანობასთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვანწილად გვეხმარება სწავლების ახალი მეთოდების სათანადოდ გამოყენებაში. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ასევე ისიც არის, რომ პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს ამ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული კომუნიკაციის სწორად დაგეგმვასა და მართვას.

როგორც დაკვირვებიდან და ანალიზიდან ჩანს შემთხვევებით სწავლების მეთოდის, რომელიც წარმოდგენილია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმის მაგალითზე და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის, რომელიც წარმოდგენილია ანტიდასავლურ პროპაგანდის წინააღმდეგ სტრატეგიული კომუნიკაციის მაგალითზე გამოყენება პრაქტიკულად ისეთივე წარმატებით შეიძლება დისტანციურად სწავლებისას, როგორც კონტაქტური სწავლების დროს. ამ მეთოდების დისტანციურად გამოყენება დაკავში-

რებულია მხოლოდ მინიმალურ სირთულეებთან. ეს გარკვეული სირთულეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შემთხვევებით სწავლებისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს უკავშირდება ძირითადად ვიზუალურ და ემოციურ შეზღუდვებს. ამასთან, ამ სირთულეების მნიშვნელოვანწილად გადალახვა შესაძლებელია სწავლების პროცესის სწორი დაგეგმვისა და ლექტორის მხრიდან ნამახალისებელი და აქტიური მოდერაციის პირობებში.

როლორი სწავლების გამოყენება და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის გარკვეული ინსტიტუციონალური სტრუქტურების საქმიანობის მოდელირების დისტანციურად განხორციელება ასევე საკმაოდ ეფექტიანადაა შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ისეთ გამოწვევებს, როგორცაა სტუდენტების მაღალი აქტიურობის უზრუნველყოფა და მოდელირებისათვის სასურველი ემოციური ფონის შექმნა. ამ სირთულეების სრულად აღმოფხვრა ნაკლებად შესაძლებელია, თუმცა გარკვეული მიდგომები უზრუნველყოფს მათ შემცირებას.

დისტანციურად სწავლებისას სტატიაში განხილულ მეთოდებს შორის ყველაზე მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენება, რომელსაც ადგილი აქვს პრეზენტაციაზე სტუდენტების მცირე ჯგუფებად მუშაობისას. შესაბამისად, დისტანციური სწავლებისას ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება არ იყოს ისეთივე ეფექტური, როგორც კონტაქტური სწავლებისას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა სავსებით შესაძლებელია და ამისათვის საჭიროა სტუდენტების სწორად ინსტრუქტირება, მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მეტი აქტიურობის უზრუნველყოფა. საინტერესოა, რომ ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების ელემენტების გამოყენებისას არსებობს ისეთი საკითხებიც, როგორცაა, მაგალითად დროის არამიზნობრივად გამოყენების შემცირება, რომლისთვისაც დისტანციური სწავლება პრობლემის გადაჭრას აადვილებს.

ყოველივე ზემოთ ნახსენებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლებისას თანამედროვე მეთოდების გამოყენება უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული, ვიდრე იგივე დისტანციური სწავლებისას ტრადიციული მეთოდების გამოყენება. ამავე დროს, ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარება და კრეატიული მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს გადავლახოთ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა პრობლემა.

ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლების დროს რთულდება სტუდენტთა შეფასება. განსაკუთრებით ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული წერილობითი გამოცდის პირობებში ცოდნის შემაჯამებელი, განმსაზღვრელი შეფასება. შესაბამისად, წინამდებარე სტატიაში მოყვანილი სწავლების მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობის ზრდას. ხოლო განმსაზღვრელთან ერთად კომენტარების სახით განმავითარებელი შეფასებების გამოყენება ავითარებს კომუნიკაციის უნარებს, ახალისებს ინდივიდუალიზმსა და განათლებისადმი ინტერესს.

ბიბლიოგრაფია

- Bloom, B. S.; Engelhart, M. D.; Furst, E. J.; Hill, W. H.; Krathwohl, D. R.** *Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals.* (1956) New York: David McKay Company.
- Charlie C. Chen, Rong-An Shang, Albert Harris** *The Efficacy of Case Method Teaching in an Online Asynchronous Learning Environment*, International Journal of Distance Education Technologies, Volume 4, Issue 2 (2006), Idea Group Inc, pp.72-86
- Edward de Bono** *Six Thinking Hats: An Essential Approach to Business Management.* (1985). Little, Brown, & Company.
- Ether Gwineria** Presentations on Modern methods of teaching (2022) Tbilisi at the Workshop organized within the frames of the Erasmus+ Jean Monnet Project EUStBA
- Hang Shu, Xiaoqing Gu** *Determining the differences between online and face-to-face student-group interactions in a blended learning course,* (2018) <https://doi.org/10.1016/j.iheduc.2018.05.003>
- Howard Gardner** *The Disciplined Mind,* (1999) Penguin Books, Printed in USA
- Howard Gardner** *The Development and Education of the Mind* (2002) Routledge, Printed in Great Britain.
- Kathi J. Lovelace, Fabian Eggers, Loren R. Dyck** *I Do and I Understand: Assessing the Utility of Web-Based Management Simulations to Develop Critical Thinking Skills,* Academy of Management Learning & Education, (2016), Vol. 15, No. 1, pp. 100-121.

Lourdes Arce Espinoza, Julián Monge Nájera *How to correct teaching methods that favour plagiarism: recommendations from teachers and students in a Spanish language distance education university*, *Assessment & Evaluation in Higher Education*, Volume 40, 2015 (first published on-line 2014), Issue 8, pp. 1070-1078

Mike McLinden, Steve McCall, Danielle Hinton, and Annette Weston *Participation in Online Problem Based Learning: Insights from postgraduate teachers studying through open and distance education*, UK, *Distance Education*, Vol. 27, No. 3, (November 2006), pp. 331-353

Perkins, D. *Smart schools. Better thinking and learning for every child* (1992) New York: The FreePress

Suzy Edwards *Higher Education in the Twenty-first Century: examining the interface between graduate attributes, online and problem-based learning at Monash University* *Pedagogy and Education*, Vol. 14, No. 3, (2005) pp. 329-352

Archil Karaulashvili¹

APPLICATION OF MODERN TEACHING-LEARNING METHODS IN DISTANCE LEARNING

(Based on an example of lecture courses on General and Practical Aspects of Political and Legal Relations between Georgia and the European Union)

Abstract

Covid pandemic, existing security risks, the need to save resources and time, and other circumstances made development of the distance learning important. **The purpose of this article is to discuss the possibilities of using modern teaching-learning methods for distance learning.** The issue is presented through the examples of courses on general and practical aspects of political and legal relations between Georgia and the European Union.

The use of the distance group learning method is shown on the example of working on a presentation regarding visa-free travel and movement of citizens between the EU and Georgia. The topic of role-playing teaching is discussed through the modeling of the work of the EU-Georgia Association Council, and the use of the case study method is presented on the example of one of the sectoral reforms envisaged by the EU-Georgia Association Agreement. The problem-based learning method is discussed by using the topic of strategic communication against anti-Western propaganda.

Special attention is paid to the possibilities of solving problems related with distance learning. In all topics, attention is paid to promoting the development of critical thinking and creativity. Increasing students' interest and participation in the learning process is considered as one of the approaches. Evaluation difficulties and practical experience of solving them are discussed as well.

The main conclusions of the article are: the use of modern methods in distance education is associated with more difficulties than the use of traditional methods in the same circumstances; The development of electronic technologies and a creative approach allow us to overcome almost all problems of distance learning; EU-integration related practical experience is useful for new teaching and learning methods, as it helps to properly plan and manage related communications.

Key words: distance learning; group learning; role-playing; case study; Problem-Based Learning.

Introduction

We are living in a time of fast changes and witnessing accelerated development of economy, technology, social relations and respectively of teaching-learning methods. The global Covid-19 pandemics on one hand and the war in Ukraine on the other hand, significantly changed the agenda of the countries, state institutions, businesses and also the educational institutions. The need to adapt to the new realities stimulates discussions for understanding the challenges and difficulties on this path.

The global processes had its impact on Georgia as well. The war in Ukraine and the heroic resistance of the Ukrainian people against the Russian aggression gave rise to a strong reaction of support for the Ukraine in Western countries. One of the directions of this support is acceleration of integration into the European Union. Alongside with Ukraine, other countries with an Association Agreement with the European Union, namely

¹ Invited Lecturer at the Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Mobile: +37253800188, e-mail: akaraulashvili@mfa.gov.ge; akar_8@hotmail.com;

Moldova and Georgia, which are also suffering from Russian aggression, gain the opportunity to receive more support on the way to European integration. This means that our country will need more professionals working on the EU and the EU-Georgia cooperation related issues in a short period of time. Therefore, further refinement and development of teaching-learning methodology in this direction is important.

The Covid-19 pandemic had a significant impact on the development of teaching and learning methods. The need to limit the mobility of citizens and isolation of students and lecturers has disrupted the normal teaching process and schools have moved to distance learning practically in all countries. The pandemic is not completely defeated and there are risks of further escalation that stress the need for the development of distance learning methods. At the same time, there are other circumstances that emphasize the benefits for developing distance learning. These are, for instance: Security challenges (including the war in Ukraine); Overcrowded large cities where educational institutions are located, with their unfavorable ecological conditions and congested traffic; Better possibilities for inviting professors and teachers living in different cities or even countries; Less financial expenses, etc. Therefore, distance learning provides an opportunity to solve many challenges and it is of great importance to adapt modern progressive methods of teaching and learning to the limits of the distance learning.

In this article, we discuss the above-mentioned issues based on the course on "General Framework of the Political and Legal Relations between Georgia and the European Union" of the bachelor's program of European Studies and the course on "Practical Aspects of EU-Georgia Cooperation" of the master's program of European Studies.

The goals and the outcomes of the course on the General Framework of the Political and Legal Relations between Georgia and the European Union are fully consistent with the goals and outcomes of the TSU Bachelor's program in European studies. It will help students in deepening knowledge on: the history and current state of Georgia-EU relations with special emphases on the dynamics and main stages of the relations; on the political and economic driving forces and benefits deriving from these relations; the institutional and legislative foundations of the relations; challenges and threats to Georgia's rapprochement with the European Union; the Eastern Partnership initiative of the European Union where Georgia is a part of. Special attention will be paid to common European values, as well as to the hybrid threats and strategic communication with the public on the issues of Georgia's integration into the European Union. The course will focus on the development of primary analysis and critical thinking skills. After completing the course, the student should be able to independently evaluate his/her achievements according to the course benchmarks and further deepen his/her knowledge on the given topic using the available educational materials. Georgia's integration into the European Union will be used as an example for the critical analysis of the principles and challenges of European integration theories in general, which is also provided by the mentioned BA program. Certainly, the noted course will help students in exploring, studying and analyzing normative, political and other documents about important aspects of Georgia-EU relations envisaged by the undergraduate program.

The goals and results of the course on the Practical Aspects of EU-Georgia Cooperation are also aligned with those of the TSU Master's program in European studies aiming to prepare the highly qualified experts. The course provides a more in-depth knowledge of the economic, legal and institutional issues of cooperation between Georgia and the European Union. Emphasis is placed on the practical benefits and application of knowledge, including in opportunities related to mobility of citizen and the EU aid programs. As a result, the student will be able to analyze the challenges and benefits of the European integration of Georgia independently, taking into account modern political, economic and social aspects, as well as scientific thoughts and opinions. A critical analysis will provide opportunity for distinguishing the objective information on European integration and anti-Western propaganda. The student will develop the skills for further deepening and application of the knowledge. With the acquired knowledge and skills, students will be able to develop and implement research and practical projects in the fields of EU law, economy, politics, and history that are provided by the program according to high academic standards. They will be able to study/produce, analyze and explain the current processes in the European Union, as well as respective normative, political, economic and other documents in their daily practical activities.

Achieving these goals and results requires an effective use of modern teaching-learning methods. For discussing each teaching method via application of distance communication means, specific examples are presented on which the author has already accumulated certain practical experience. The use of the distance group learning method is demonstrated on the example of a presentation regarding visa-free travel and

movement of citizens between the European Union and Georgia within the framework of the course on the Practical Aspects of EU-Georgia Cooperation. Also, within the mentioned course, the method of role-playing is discussed, which will be applied through the simulation of the work of the EU-Georgia Association Council. The use of the elements of the case teaching method is presented in the framework of the course on the General Framework of the Political and Legal Relations between Georgia and the European Union for the undergraduate program of European studies on the example of one of the sectorial reforms specified by the EU-Georgia Association Agreement. Within the framework of the same course, the possibilities of using the problem-based learning (PBL) method are shown in the context of strategic communication against anti-Western propaganda.

Using elements of group and collaborative learning

We can consider the possibilities of using elements of group and collaborative learning through distance means when students are working on a presentation on visa-free travel and movement of citizens between the European Union and Georgia within course on Practical Aspects of EU-Georgia Cooperation. During the said training, students are given the task of making presentations jointly, by which: they must convey information about the prerequisites and requirements for visa-free travel between Georgia and the European Union, the progress of implementation, benefits and difficulties, as well as the current situation and problems related to the movement and employment of citizens; develop recommendations for their solution; explain the main points of Mobility Partnership between the European Union and Georgia, the need for ongoing cooperation and the so-called Advantages and disadvantages of Circular Migration. In order to ensure the effective participation of all students, the course is divided into groups of 4-5 people and each is given the task of making presentations related to the respective topic. It is important to clearly define the objectives related to the task and to participate in the preparation process in order to maximize the involvement of all participants. In this regard, it is useful to first ask the students themselves to determine the role of each of them in the preparation of the presentation, and at a later stage, as a result of appropriate reasoning, optimize these roles in order to evenly distribute the workload and adjust it to the skills.

In general, the use of group and collaborative elements in the learning process provides an opportunity for creative thinking, debate, discussion, sharing of activities, coordination, participation, communication and social relations skills. However, there are some difficulties in distance group learning. We are going to discuss several of them.

The PBL is used mostly during my classes as a primary method of teaching and learning, but it is not enough at some point, therefore other approaches such as 'simulation games' is also useful especially during teaching 'theories of international relations'. The mostly used games are The Hobbes Game (Classical Realism Game) and Simulation of the EU Foreign Affairs Council (Negotiations). Each of them represents example of two major IR theories: Realism and Liberalism.

The syllabus does not give enough time to research different totalitarian regimes and only theoretical explanation about components of totalitarianism is not enough; this may be compensated by watching documentaries or reading literature and holding discussions, followed up with the analytical essay about particular regime.

During covering the civil rights and liberties chapter, students first of all are introduced with their rights with the explanations for what each right stands for and after this they are introduced with the interesting case about human rights for the debates. As usual the assignment is followed up with the essay on civil liberties.

Finally, from these experiments it proved efficient to use alternative teaching methods rather than traditional method, especially if the lecturer has a big group of students with the multidisciplinary background. Understanding level of knowledge of the students is vital to come up with the relevant and interesting assignments; consequently, increasing engagement of the students. For the objective evaluation, active monitoring of the group activities is required for the facilitator. Additionally, determination of certain criteria to distribute points further increases objectivity of the evaluation.

These methods offer students opportunity to study 'how to learn' and develop necessary research skills not only for the political science, but any other field; it enhances various skills, including working in the group and individually and of course helps to get an in-depth knowledge of the particular topic utilizing interesting activities.

Considering, the multidisciplinary background of the European Studies, it is important to teach bachelor students the key political science and international relations concepts. The theoretical knowledge of these topics will help them during the next courses to easily understand such complicated topics as EU Integration, European Politics, EU Institutions, Political Ideologies and Theories, Theories of law, Philosophy and etc. Hence, it is recommended to include the Introduction to Politics at least as the optional course at the bachelor programme of TSU European Studies education. Meanwhile the lecturer should make an expectation that not all students are interested in these topics and in order to overcome the lack of attention to the subject he/she should plan the classes having on mind the different teaching methods such as: PBL, Simulation, Games, Debates and other above-mentioned approaches.

Bibliography

- Asal, V. (2005). Playing Games with International Relations. *International Studies Perspectives*, 359–373.
- Asal, V. (2015). War, peace and everything in between: simulations in international relations. In J. Ishiyama, *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations* (pp. 304-314). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.
- Constitution of Georgia. (1995).
- Corey, P. (2018). The Socratic Method in Today's University. In *The Socratic Method Today Student-Centered and Transformative Teaching in Political Science* (pp. 138-151). New York: Taylor & Francis Group.
- Hussin, W. N. (2019, December 28). Problem Based Learning to Enhance Students Critical Thinking Skill via Online Tools. *Canadian Center of Science and Education*, 14-23.
- Ishiyama, J. (2015). *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations*. Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.
- Kauffman, B. (2015). Multidisciplinary approaches to teaching political science. In J. Ishiyama, *Handbook on Teaching and Learning in Political Science and International Relations* (pp. 111-120). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.
- Maastricht University. (n.d.). Web page of Maastricht University. Retrieved from Maastricht University: <https://www.maastrichtuniversity.nl/education/why-um/problem-based-learning>

Maurer, H. (2015). Best practices in Problem-Based Learning. In J. Ishiyama, *Teaching and learning in political science and international relations* (pp. 369-383). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

THE QUEEN v. DUDLEY AND STEPHENS., 14 QBD 273 (Queen's Bench Division December 9, 1884).

Trepanier, L. (2018). *The Socratic Method Today Student-Centered and Transformative Teaching in Political Science*. New York: Taylor & Francis Group.

**პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის დანერგვა
აკადემიური წერის სწავლების პროცესში**

აბსტრაქტი

წერა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი საბაზისო უნარია, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს რთულ კოგნიტურ პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ეფუძნება პრაქტიკულ გამოცდილებას. ამრიგად, აკადემიური წერის სწავლება რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ანალიზის, სინთეზის, შეფასების, კრიტიკული აზროვნების, ტექსტის სტრუქტურირების, სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის, კვლევის, პასუხისმგებლობის, წერის პროცესის ეტაპებისა და დისციპლინის სპეციფიკის ასპექტების გათვალისწინებას. შესაბამისად, აკადემიური წერის კურსი და შესაბამისი სასწავლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სტუდენტს ერთდროულად განუვითარდეს წერის, კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, გაიზარდოს მისი საგნობრივი კომპეტენცია და შეძლოს როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფურად მუშაობა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ აკადემიური წერის სწავლებისას დაინერგება შერეული მიდგომა და განიხილება როგორც პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის, ისე პროცესზე ორიენტირებული წერისა და თანამშრომლობითი სწავლების პრინციპები და სტრატეგიები. ნაშრომის მიზანია განიხილოს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მახასიათებლები და უპირატესობები აკადემიური წერის სწავლებისას. ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია კონკრეტული დავალება და წარმოდგენილია დავალების შესრულების ეტაპები, გაანალიზებულია შესაბამისი სტრატეგიები და აქტივობები. შესაბამისად, ნაშრომს აქვს მეთოდოლოგიური ხასიათი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური წერა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პროცესზე ორიენტირებული წერა, თანამშრომლობითი წერა, პროდუქტზე ორიენტირებული წერა

შესავალი

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში წერა ერთ-ერთი საბაზისო და ფუნდამენტური უნარია, რომელიც, ერთი მხრივ, უკავშირდება რთულ კოგნიტურ პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, მოითხოვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას. ამდენად აკადემიური წერის სწავლება კომპლექსური ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ანალიზის, სინთეზის, შეფასების, კრიტიკული აზროვნების, ტექსტის სტრუქტურირების, სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის, კვლევის, პასუხისმგებლობის, წერის პროცესის ეტაპებისა და დისციპლინის სპეციფიკის ასპექტების გათვალისწინებას. ამდენად, ევროპული კვლევების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აკადემიური წერის კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ფართო და სისტემური ცოდნა აკადემიური ენის მახასიათებლების, ციტირების წესების, ვრცელი არგუმენტირებული აკადემიური ტექსტისა და კვლევითი ნაშრომის მახასიათებლების შესახებ. კურსის ფარგლებში სტუდენტები, ასევე, ეცნობიან კვლევითი ნაშრომების სახეებს, კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას, საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნებსა და მახასიათებლებს, არგუმენტის როლსა და მნიშვნელობას, არგუმენტირებული მსჯელობის განვითარების პრინციპებს.

შესაბამისად, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ესმის კვლევითი ნაშრომის მახასიათებლები და სტრუქტურა, განსაზღვრავს ციტირების წესებს; შეუძლია სანდო წყაროების შერჩევა და მუშაობა, ირჩევს კვლევისთვის აუცილებელ მეთოდებს, განსაზღვრავს კვლევის საჭიროებებს და კვლევის მიზანს, პოულობს, ირჩევს და კრიტიკულად აანალიზებს პირველ და მეორეულ წყაროებს, სტუდენტი

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ელექტრონული ფოსტა: giuli.shabashvili@tsu.ge

არგუმენტირებულად განიხილავს საკვლევ საკითხებს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები. შედეგად, კურსის განმავლობაში სტუდენტები დამოუკიდებლად ქმნიან ვრცელ არგუმენტირებულ ნაშრომს მათთვის საინტერესო თემაზე ბაკალავრიატის ევროპული კვლევების პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამაში აკადემიური წერის კურსი ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში და სილაბუსი მოიცავს კვირაში ერთ ლექციას და ორ სემინარს. კურსის აღნიშნული მიზნების მისაღწევად და მოცემული შედეგების მისაღებად აუცილებელია სწავლების სწორი და ყველაზე შესაფერისი მეთოდების განსაზღვრა, რომელიც საგნობრივი ცოდნის პარალელურად ავითარებს სტუდენტებს კრიტიკულ აზროვნებას, კვლევისა და წერის უნარს.

ნაშრომის მიზანია განიხილოს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მახასიათებლები და უპირატესობები აკადემიური წერის სწავლების პროცესში. ნაშრომში, აგრეთვე, განხილულია კონკრეტული დავალება, რომელიც უკავშირდება ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აუდიოვიზუალური მომსახურების სფეროში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული რეგულირების მოდელის შემუშავებისა და დანერგვის საკითხებს. წარმოდგენილია დავალების შესრულების ეტაპები, გაანალიზებულია სათანადო სტრატეგიები და აქტივობები. შესაბამისად, ნაშრომი ატარებს მეთოდოლოგიურ ხასიათს და აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

სხვადასხვა ეტაპზე საგანმანათლებლო სივრცეში წერიტი კომპონენტის სწავლების რამდენიმე მოდელი გამოიყენებოდა. წერის სწავლების ტრადიციული მიდგომა ეფუძნება პროცესზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს წერილობითი ტექსტის ეტაპობრივად შექმნას. ამ მიდგომის მიხედვით წერილობით ნაშრომის შექმნა იწყება მოსამზადებელი ეტაპით, გონებრივი იერიშის, დაგეგმვის, გონებრივი რუკების (Mind mapping) სტრატეგიების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ჯგუფური მუშაობის სტრატეგიების გამოყენებას. ნაშრომის საბოლოო პრეზენტაციამდე წერის პროცესში იქმნება მისი რამდენიმე ვარიანტი (Palpanadan at al., 2009, p. 790). როგორც ვხედავთ, პროცესზე ორიენტირებული მიდგომის მიხედვით, მნიშვნელოვანია საკუთრივ პროცესი და წერის თითოეული ეტაპი, რომელსაც შემსწავლელს წინასწარ დეტალურად აცნობს ინსტრუქტორი. ამ ტიპის აქტივობების დროს სტუდენტი ასრულებს არაერთ წერილობით დავალებას, მათ შორის ქმნის ესეს რამდენიმე ვარიანტს.

წერის სწავლების მეორე მოდელი არის პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია საბოლოო პროდუქტზე. ამ მიდგომის მიხედვით, სტუდენტები ეცნობიან რამდენიმე ნიმუშს და მუშაობენ იდეების ორგანიზებაზე და ქმნიან სამიზნე ტექსტის მხოლოდ ერთ ვარიანტს (Klimova, 2014, გვ. 149). მუშაობის ფორმატი ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს, თუმცა წერის პროცესი ხორციელდება ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით.

აკადემიური წერის სწავლების პროცესში გამოიყენება კიდევ ერთი მიდგომა, კერძოდ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა PBL. ეს არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი და მიზნად ისახავს შემსწავლელმა თავად მოძებნოს კურიკულუმით გათვალისწინებულ კონტექსტთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის გზები და სასწავლო პროცესში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება (Ghufron & Ermawati, 2018, გვ. 659). შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა მაქსიმალურად უწყობს ხელს ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას, ხოლო მასწავლებლის როლი არის სტუდენტის მოტივირება და ფასილიტაცია.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წერის პროცესში სტუდენტებისთვის ერთ-ერთი რთულად დასაძლევია ამოცანებია ობიექტური კრიტიკული აზრის ჩამოყალიბება, „წყაროების სანდოობის დადგენა, ძირითადი დებულების/საკვლევი შეკითხვების ჩამოყალიბება, განზოგადება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ძირითად საკითხზე კონცენტრირება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა და ლოგიკური თანმიმდევრული დასკვნების გამოტანა და ჩამოყალიბება“ (გოჩიტაშვილი & შაბაშვილი, 2021, გვ. 152).

სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულება თავისთავად მოიაზრებს შექმნის პროცესს, რაც მიზნად ისახავს დეკლარაციული ცოდნის ჩვენებას ან მის გარდაქმნას პირობით ცოდნად. „ახალი ცოდნის ეფექტურად და წარმატებით კონსტრუირება კი შესაძლებელია მეტაკოგნიტური, კოგნიტური და სოციალური სტრატეგიების გამოყენებით“ (შაბაშვილი, 2012, გვ. 6). ამდენად, ეფექტური შედეგის მისაღწევად, კერძოდ, საგნობრივი კომპეტენციის ასამაღლებლად და წერისა და ანალიტიკური აზროვნების უნარების განსავითარებლად აუცილებელია სხვადასხვა ტიპის აქტივობების თანმიმდევრულად და გააზრებულად გამოყენება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისა და პროცესზე ორიენტირებული წერის მოდელების კომბინირებით.

ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, მიდგომა და სტრატეგია, რომელიც ეხმარება სტუდენტებს, ერთი მხრივ, კონკრეტული დავალებების შესრულებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემული აქტივობების შესრულებაში. ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია ლიტერატურის მიმოხილვა და წარმოდგენილია უმაღლეს სასწავლებლებისა და აკადემიური წერის კურსებში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მნიშვნელობის განხილვა. ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია კონკრეტული დავალება და გაანალიზებულია პრობლემაზე და პროცესზე ორიენტირებული წერის ძირითადი მოთხოვნების მიხედვით. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები. შესაბამისად, ნაშრომს აქვს მეთოდოლოგიური სპეციფიკა და მიზნად ისახავს პრაქტიკული აქტივობებისა და საშუალებების წარმოდგენას, რომელთა დანერგვაც შესაძლებელია აკადემიური წერის სწავლების პროცესში. თითოეული აქტივობა გაანალიზებულია პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის, კოოპერატიული და პროცესზე დაფუძნებული წერის კონტექსტში.

1. თსუ ევროპის მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე აკადემიური წერის კურსის სწავლების მოდელები

სამეცნიერო ლიტერატურაში პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL) დახასიათებულია როგორც ჰიპოთეტურ-დედუქციური მსჯელობა, რაც გულისხმობს შემდეგს: სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა მოიძიოს მასალა, დაამუშავოს და მასალის სინთეზის საფუძველზე წამოჭრას ჰიპოთეზა. ჰიპოთეზის დასამტკიცებლად კი უნდა მოიძიოს დამატებითი პირველადი და მეორეული წყაროები. ამის საფუძველზე PBL მიდგომა მიიჩნევა როგორც წრე - ანალიზი - კვლევა - ანგარიში (analysis-research-report) (Harper-Marinick, 2001, გვ. 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის რამდენიმე მახასიათებელი. ამ მიდგომის მთავარი მოთხოვნა არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში და თავად უნდა მართონ იგი (Harper-Marinick, 2001:4). შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტზე ორიენტირებულობა ამ მიდგომის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნაა (Gijsselaers, 1996). ამდენად, PBL მიდგომაზე აგებულ საკლასო გარემოში სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი საჭიროებები, დაგეგმონ სასწავლო პროცესი და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე ჯგუფის სხვა წევრების სამუშაო (Gallagher, 1997; Reynolds, 1997).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკლასო გარემოში შეიქმნას თანამშრომლობითი გარემო. სტუდენტებმა ჯგუფურად უნდა გადაჭრან დასახული პრობლემები (Harper-Marinick, 2001:4). შესაბამისად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა სტუდენტს უვითარებს საკომუნიკაციო უნარებს, ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის გაზიარების უნარებს, სხვების მოსაზრების პატივისცემას. ამდენად, PBL მიჩნეულია ჯგუფური სწავლების მეთოდად, რომელიც შემსწავლელებს უვითარებს ზოგად უნარებსა და დამოუკიდებულებებს (Wood, 2003), რადგან ერთად მუშაობის პროცესში სტუდენტები ერთმანეთისაგან სწავლობენ, ცვლიან იდეებს და ერთმანეთს ეხმარებიან პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნაში (Blythe & Sweet, 2008).

პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, მასწავლებელი არის ფასილიტატორი. ის არ ატარებს ტრადიციულ ლექციას, არამედ ხელს უწყობს სტუდენტებმა თავად აღმოაჩინონ, მოიძიონ მასალა, ჩაატარონ კვლევა და წარმოადგინონ ანალიზი (Harper-Marinick, 2001:4). მიჩნეულია, რომ მასწავლებლის მთავარი ფუნქცია ამ შემთხვევაში არის მხარდაჭერა, პრობლემის გადაჭრაში დახმარება და კოგნიტური წვრთნა ე. წ. ქოუჩინგი. ამგვარი სასწავლო გარემო უზრუნველყოფს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას, ჩართულობასა და კვლევაში მონაწილეობას (Torp & Sage, 2002). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომით დაგეგმილი გაკვეთილი/ლექცია/სემინარი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ინსტრუქტორისაგან მოითხოვს მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, კერძოდ, სპეციალური მასალის შერჩევას, დროის დაგეგმვას, სტუდენტების მოტივაციას, რათა აქტიურად ჩართოს ისინი სამუშაო პროცესში და, ასევე, აუდიო და ვიზუალური მასალის გამოყენებას (ლაპიაშვილი, 2017, გვ. 11).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ განსახილველი პრობლემა და მისი გადაჭრა უნდა იყოს სტიმული სწავლისთვის, რის შედეგადაც სტუდენტები იღებენ ცოდნას პრობლემების გადაჭრის გზით (Harper-Marinick, 2001:4). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღებაც, რომ გა-

ნსახილველი პრობლემა სტუდენტებმა უნდა განიხილონ დამოუკიდებლად წინასწარ, დამხმარე და შუამავალი ინფორმაციის გარეშე (Harper-Marinick, 2001, გვ. 5). ინსტრუქტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს ისიც, რომ გადასაჭრელი პრობლემა უნდა იყოს რეალური, სტუდენტების სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული. უმჯობესია პრობლემა იყოს კომპლექსური და ჰქონდეს გადაჭრის რამდენიმე გზა. სტუდენტებმა უნდა შეძლონ გადასაჭრელი პრობლემის ანალიზი, განზოგადება, კვლევის ჩატარება, მონაცემების მოძიება, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება მოიძიოს მინიმალური ინფორმაცია წარმოდგენილ პრობლემასთან დაკავშირებით (იქვე). რეალური პრობლემების (real life problems) გამოყენება სტუდენტებს ეხმარება გაიაზრონ ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი უშუალოდ უკავშირდება რეალური ცხოვრების კონტექსტს და, შესაბამისად, ხელს უწყობს მათ, მიიღონ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად და არწმუნებს მათ, რომ შესაძლებელია პრობლემის გადაჭრა (Aryanti et al., 2018).

მუშაობის პროცესში სტუდენტები აერთიანებენ თავიანთ ცოდნას, ფაქტებსა და მონაცემებს, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია კრიტიკული აზროვნების ინდიკატორები, რომლებიც საგრძნობლად ვითარდება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მოდელით ჩატარებული მეცადინეობების შედეგად (Ibrahim et al., 2020, გვ. 3).

სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია PBL მიდგომის როლი როგორც აკადემიური წერის, ისე მეორე ენის წერითი კომპონენტის სწავლებისას. მიჩნეულია, რომ PBL მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტის კოგნიტური კომპეტენციის განვითარებასა და ამალვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს წერითი დავალებების ეფექტურად შესრულებას (Surya, 2018).

სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ PBL აქტივობების გამოყენების შედეგად სტუდენტები უფრო ადვილად პასუხობენ შეკითხვებს და აღწერენ პრობლემის გადაჭრის გზებს. იზრდება, ასევე, მათი შეფასების ქულები. თუმცა, როგორც ზოგიერთ კვლევაშია აღნიშნული, იმისათვის, რომ სტუდენტების წერითი უნარების განვითარდეს, მასწავლებელმა მათ უნდა მიაწოდოს აკადემიური წერის თეორიული საფუძვლები და მხოლოდ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდეგ გამოიყენოს პრაქტიკული სავარჯიშოები და დავალებები (Aryanti et al., 2018).

ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მიდგომით გათვალისწინებული აქტივობების დანერგვა აკადემიური წერის სწავლების პროცესში, კონკრეტულად რა ტიპის დავალებები უნდა შეასრულონ იმისათვის, რომ მიაღწიონ სილაბუსით გათვალისწინებულ მიზნებს. ცალკეულ კვლევებში ზოგადაა აღწერილი PBL მოდელის დანერგვის ეტაპები (Trekles, 2012; Arends, 2012, Aryanti et al. 2018). რაც შეეხება ამ მიდგომის გამოყენებას უშუალოდ წერითი კომპონენტის სწავლების პროცესში, ამ შემთხვევაში სტუდენტებს განსახილველად ეძლევათ არგუმენტირებული ტექსტის შექმნასთან დაკავშირებული შეკითხვები, მაგალითად, როგორ უნდა აიგოს აბზაცი, როგორ უნდა შეიქმნას მთავარი წინადადება, როგორ შეირჩეს სათაური და ა. შ. სტუდენტებს, ასევე, განსახილველად ეძლევათ რამდენიმე კონკრეტული ნიმუში. ჯგუფური მსჯელობის შედეგად სტუდენტები არჩევენ პასუხებს და განიხილავენ მათ (Surya, 2018, გვ. 351-352). ბუნებრივია, ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპებს და იძლევა კონკრეტული ეფექტური შედეგების მიღწევის საშუალებას, თუმცა, ამ შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ მხოლოდ წერის თეორიულ საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვები, რომლებიც უკავშირდება წერილობითი ნაშრომის შექმნის ეტაპებს. ასე დაგეგმილ სასწავლო გარემოში სტუდენტები ქმნიან მხოლოდ მოკლე პასუხებს და წარადგენენ აუდიტორიის წინაშე, საბოლოო წერილობითი პროდუქტი კი არ იქმნება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში გამოყენებულია, ასევე, პროდუქტზე ორიენტირებული წერის მიდგომა, როდესაც სტუდენტები ეცნობიან ცალკეულ ნიმუშებს. ასევე, დამატებით განსახილველ მასალას და წყაროებს სტუდენტები ეძიებენ არა დამოუკიდებლად, არამედ ინსტრუქტორი აწვდის მათ შუამავალ ინფორმაციას. ამდენად უმჯობესია სასემინარო მუშაობის ისე დაგეგმვა, რომ სტუდენტებმა ერთდროულად შეძლონ ვრცელი არგუმენტირებული ტექსტის შექმნა, კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება და რეალურ განსახილველ პრობლემაზე მსჯელობა და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მოდელისა და პროცესზე ორიენტირებული წერის მიდგომის კომბინირებითა და შესაბამისი აქტივობების გამოყენებით.

2. კონკრეტული დავალების მაგალითი და მისი შესრულების სქემის ნიმუში

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია და განხილულია კონკრეტული დავალება, რომელიც ეფუძნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი წერისა და პროცესზე ორიენტირებული წერის მიდგომების პრინციპებს. დავალება განკუთვნილია ევროპის-მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის. დავალების მიზანია, ვრცელი მოცულობის არგუმენტირებული ესეს შექმნა, ხოლო დავალების თემაა ევროკავშირისა და საქართველოს ასოციაციების შეთანხმების ფარგლებში აუდიოვიზუალური მომსახურების სფეროში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული რეგულირების მოდელის შემუშავება და დანერგვა.

საკითხი აქტუალურია, პრობლემური და ეხმიანება კურიკულუმით გათვალისწინებულ თემატიკას. დავალების შესრულება იგეგმება შვიდი სასწავლო კვირის განმავლობაში, თითოეულ კვირას განსახორციელებელი აქტივობები შეესაბამება აკადემიური წერის კურსის სილაბუსით განერილ თემებსა და საკითხებს. შეიძლება ითქვას, რომ დავალებას აქვს ორმაგი დატვირთვა: ერთი მხრივ, სტუდენტები მუშაობენ, განიხილავენ და აანალიზებენ ევროდირექტივის მოთხოვნების მიხედვით ქართული მედიამომსახურების სფეროში სიძულვილის ენის რეგულირების პრობლემას, მოძიებული და დამუშავებული მასალის საფუძველზე ჯგუფურად განიხილავენ პრობლემის გადაჭრის გზებს და დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს შეუწყობს საბოლოოდ საგნობრივი კომპეტენციის ამალღებასა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

მეორე მხრივ, პარალელურად სემინარებზე პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მიხედვით სტუდენტები დამოუკიდებლად მსჯელობენ აკადემიური წერის მოთხოვნებზე. კერძოდ, სტუდენტები ქართული მედიამომსახურების სფეროში სიძულვილის ენის რეგულირების პრობლემის მაგალითზე განიხილავენ თემის შერჩევის, სათაურის შექმნის, მასალის მოძიებისა და დამუშავების სტრატეგიებსა და პრინციპებს, აგრეთვე, არგუმენტირებული ესეს სტრუქტურას. საბოლოოდ, სტუდენტები დამოუკიდებლად მიდიან იმ დასკვნამდე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ესეს შექმნის თითოეულ ეტაპზე წამოჭრილი პრობლემები და შესაბამისი ამოცანები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტების წერითი უნარების განვითარებასა და ამალღებას.

ლექციასა და სემინარებზე ლექტორი აჯამებს სტუდენტების მოსაზრებებს და აწვდის მათ დამატებით ინფორმაციას, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის დროს, საშინაო დავალებების შესრულებისას სტუდენტები თავად მოიძიებენ პირველად და მეორეულ წყაროებს. რაც შეეხება დავალების შესრულების ფორმატს, დავალება სრულდება ჯგუფურად. სტუდენტები უნდა დაჯგუფდნენ ან თავიანთი ინიციატივით ან ლექტორის დახმარებით. ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა შეიძლება იყოს საშუალოდ 4-5 სტუდენტი. ამ ტიპის დავალების მიზანია, ერთი მხრივ, სტუდენტებმა გაიღრმავონ ძირითადი პიროვნული უნარები, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიყენონ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა. საბოლოოდ, დავალება მიზნად ისახავს ანალიტიკური არგუმენტირებული ესეს შექმნას, რომელიც უპასუხებს აკადემიური წერის პრინციპებსა და მოთხოვნებს და რომელშიც გადაჭრილი იქნება განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემა. ნაშრომის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია დავალების თითოეული ეტაპის დეტალური აღწერა თითოეული კვირის მიხედვით.

დავალების აღწერა:

I კვირა

დავალების შესრულების პირველი ეტაპი მოიცავს წერის მოსამზადებელ ეტაპს. სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად, რის შემდეგაც ლექტორმა აუდიტორიას უნდა გააცნოს დავალების თემა: *ევროკავშირისა და საქართველოს ასოციაციების შეთანხმების ფარგლებში აუდიოვიზუალური მომსახურების სფეროში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ხეგუდიების ეფექტური მოდელის შემუშავება და დანერგვა*. სტუდენტებს განსახილველად და გასაანალიზებლად ეძლევათ მცირე მოცულობის შემდეგი ტექსტი, რომელშიც დასმულია და აღწერილია განსახილველი პრობლემა:

პრობლემის არსი: *ევროკავშირის-საქართველოს შოხის გაფორმებული ასოციაციების შეთანხმების თანახმად, საქართველომ იკისხა ვადებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებს აუ-*

დიოვიზუალური მედიამომსახურების სფეროში. საქართველოს კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დიხექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადებზე განსაზღვრულია ასოციების ხელშეკრულების XXXIII დანართით. ამ თვალსაზრისით ევროკავშირის დიხექტივის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ქვეყანამ შეიმუშავოს მაუწყებლობის სფეროში სიძულვილის ენისა და სხვა უფლებივ დახლვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჰეაგიების ქმედითი მექანიზმი. დიხექტივა ამ გიპის სხვდასხვა დახლვევის შესახებ იძლევა განმაჩებებს. დიხექტივაში, ასევე, შემოთავაზებულია ჰეაგიების სხვდასხვა ფოხმა, მათ შოხის თვითჰეგუიება, ჰეგუიება და თანაჰეგუიება. აღნიშნულ დიხექტივაში შემოთავაზებული ნოხმების ნაწიდი სავადებულო ხასიათს აგაჰებს, ხოლო ნაწიდი ჰეკომენდაციუდი ხასიათისაა და საქაჰთველოს აძღვეს საშუადებას, საკითხის მოგვაჰების ჰამდენიმე გზა აიჩიოს.

საქაჰთველომ აილო ვადებულება დაუახლოვოს საკუთაჰი კანონმდებლობა აღნიშნულ დიხექტივას, ჰა მიზნითაც შემუშავებულ იქნა კანოპოოექტი, კეჰძოღ, ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ საქაჰთველოს კანონში. მიუხედავად იმისა, ჰომ კანონპოოექტი 2019 წელს შემუშავდა და ამავე წელს იყო ზემოაღნიშნული ვადებულების შესხულების ვადა, მაუწყებლობის სექტოხის წაჰმომადგენლების მხიდან მწვავე ჰეაგიების გამო შეჩედა კანონპოოექტის საპაჰდამენგო განხიღვის/მიღების პოოცესი.

კანონპოოექტი, კეჰძოღ ცვლილებები საქაჰთველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ, შეიმუშავა საქაჰთველოს კომუნიკაციების მაჰეგუიებუღმა ეხოვნუღმა კომისიამ, ჰომედიც წაჰმომადგენს კომუნიკაციების სფეროში დამოუკიღებუღ ჰეგუღატოხს. კანონპოოექტის ავტოჰებმა დიხექტივის საფუძველზე ჰეკომენდაციებზე დაყღნობით შეიმუშავეს ისეთი მოღედი, ჰომღის თანახმადაც, კონკეჰტუღად სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში საკითხის ჰეგუიების ვადებულება ეკისება მაჰეგუიებუღ კომისიას. აღნიშნული მოღედი მეღიაწაჰმომადგენლების ნაწიღმა უაჰყოფითაღ აღიქვა. მათ მიიჩნიეს, ჰომ ეს უფებამოსიღება კომისიის მხიდან ღიდი აღბათობით ბოოოგად იქნება გამოყენებული და ოპოზიციუდი ტეღევიზიების დახუჰვას გამოიწვევს.

თავის მხივ, კომუნიკაციების მაჰეგუიებუღი კომისია აცხადებს, ჰომ მოღედი აბსოღუტუღად შეესაბამება ევროდიხექტივას და დიხექტივის ფოხმუღიებუღდან იკვეთება, ჰომ სიძულვილის ენის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოღ შესაბამისი ოჰგანოს მიეი განხოციებუღი ჰეგუიება. კომისია კანონპოოექტის შემუშავებისას დაყღნო ევროკავშირის ექსპეჰტის ჰეკომენდაციას. აგეოთვე, გამოყენებულ იქნა ERGA-ს 2019 წლის ანგაჰიში.

ევოპის საბჭოს ექსპეჰტების მიეი შემუშავდა ღოკუმენტი, ჰომღის თანახმადაც ქაჰთუდი ჰეაღობის გათვადისწინებით, საქაჰთველოს სთავაზობენ თანაჰეგუიების მექანიზმის დაწეგვას. ექსპეჰტები აცხადებენ, ჰომ სიძულვილის ენის შემთხვევაში თანაჰეგუიება თავსებაღია დიხექტივასთან და მოცემულ ვითაჰებაში საქაჰთველოსთვის ყველაზე მისაღებ ფოხმას წაჰმომადგენს. თუმცა, ამავე ღოოს, აღნიშნულია, ჰომ შემოთავაზებული მოღეღის ასამუშავებდაღ მაუწყებლებს შოხის უნდა ახსებობდეს ეთიანი აზიი და შეჭეებუღი პოზიცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ჰომ ევროკავშირის აჰც ეთ ქვეყანაში აჰ გამოიყენება თანაჰეგუიების ფოხმა სიძულვილის ენის კონტექსტში.

სტუდენტებმა ჯგუფებში უნდა იმსჯელონ წარმოდგენილი პრობლემის არსსა და აღნიშნული დიხექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზე.

დავალების შემდეგი ეტაპი არის არგუმენტირებული ესეს სამუშაო სათაურის შერჩევა. ლექტორი სტუდენტებს წარუდგენს განსახიღველ თემასთან დაკავშირებულ რამდენიმე სათაურს, სტუდენტებმა ჯგუფებში უნდა იმსჯელონ თითოეული სათაურის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, შეარჩიონ ის ვარიანტი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად პასუხობს აკადემიური წერის პრინციპებს და პასუხები დაასაბუთონ ადეკვატური არგუმენტებით. ქვემოთ წარმოდგენილია შესარჩევი სათაურის ვარიანტები:

- ევროკავშირი-საქაჰთველოს შოხის გაფოხმებული ასოციების შეთანხმება;
- ევროკავშირი-საქაჰთველოს შოხის გაფოხმებული ასოციების შეთანხმების ძიხითაღი მოთხოვნები;
- ევროკავშირის დიხექტივა;
- საქაჰთველოს კანონმდებლობის ადაპტიების აუცილებლობის საკითხი ევროკავშირის კანონმდებლობასა და საეჰთაშოხისო სამაჰთღებივ ინსტრუმენტებთან აუდიოვიზუალური მეღია მომსახურების სფეროში;
- სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჰეაგიების მექანიზმების შექმნის აუცილებლობა;
- სიძულვილის ენა მასმეღიაში;

- ევხოკავშირის დიხექტივა ქართულ მასშედიში სიძღვირის ენის გამოყენების შემთხვევების ხეგუდიხების შესახებ;
- ქართულ მასშედიში სიძღვირის ენის გამოყენების ხეგუდიხების შესახებ ევხოკავშირის დიხექტივის დანეხვის სიხტუდეები და მათი ანადიზი;
- ქართულ კანონმდებლობაში აუდიოვიზუალუი მედიამომსახუებაში სიძღვირის ენის ხეგუდაციებთან დაკავშირებული ასოციხების შეთანხმებით აღებული ვადებულებების დანეხვის სიხტუდეები და მათი ანადიზი.

სათაურების განხილვის შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეაჯამონ სატემელი და გამოყონ და ჩამონერონ ეფექტური სათაურის შერჩევის სტრატეგიები და მახასიათებლები. ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში აძლევს მათ მიმართულებას.

განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით სტუდენტებმა ჯგუფურად უნდა მოიძიონ პირველადი და მეორეული წყაროები და დაიწყონ მათი დამუშავება კრიტიკული კითხვის მიდგომის პრინციპებით. ლექტორი, თავის მხრივ, სთავაზობს შემდეგ დასამუშავებელ მასალას:

- აუდიოვიზუალუი მედია მომსახუებების შესახებ 2010/13/EU ევხო დიხექტივა;
- 2010/13/EU ევხო დიხექტივაში 2018 წლის 14 ნოემბეხს განხოციელებული ცვლილებები (DIRECTIVE (EU) 2018/1808 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL);
- ამონახიდი კანონპოეტიდან „მაუწყებლობის შესახებ საქაიხვედოს კანონში“ ცვლილების შეგანის თაობაზე“;
- ამონახიდი „მაუწყებლობის შესახებ“ საქაიხვედოს კანონიდან;
- ექსპეიტების ხეკომენდაციები;
- ERGA-ს ანგაიში, 2019
- სხვა ქვეყნების გამოცდილება.

მეორე კვირა

დავალების შესრულების ამ ეტაპზე სტუდენტებმა უნდა განიხილონ მოძიებული თეორიული და ემპირიული მასალის დამუშავების პრინციპები, ტექსტის კრიტიკული წაკითხვის მიდგომები და ლიტერატურის მიმოხილვის შექმნის სტრატეგიები, აგრეთვე, ამ ტიპის ტექსტის მახასიათებლები და სტრუქტურა.

ამის შემდეგ ლექტორი სტუდენტებს აძლევს იმავე განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი დებულების ან საკვლევი პრობლემის რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი:

1)

სიძღვირის ენა წაიშობაგენს გამოხატვის ისეთ ფოხმას, ხომედიც ამკვიდეხებს უაიყოფით დამოკიდებულებას საზოგადოებაში და ხედს უწყობს განსხვავებული ჯგუფების მიმაიხ სიძღვირის, დისკიმიინაციისა და მგხუდი დამოკიდებულების გავიციელებას. ამდენად, თანამედოხოვე ეემოკატიუდ სამყაიოში სიძღვირის ენის გამოყენების ხეგუდიხება ეიხ-ეიხი საზოგადოების ეიხ-ეიხი მთავაიი ამოცანა უნდა იყოს. ამით აიის განპიხობებული ევხოკავშირის დიხექტივა მასშედიის მომსახუების სფეიოში სიძღვირის ენის ხეგუდიხებასთან დაკავშირებით, ხაც გუდისხმობს მაუწყებლობის სფეიოში სიძღვირის ენისა და სხვა უფლებიივ დაილვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხეაგიხების ქმედიოთი მექანიზმის აიხებობას. ევხოკავშირისა და საქაიხვედოს ასოციხების შეთანხმების ფაიგებში აუცილებელია აღნიშნული დიხექტივით გათვადისწინებული მოთხოვნების დანეიგვა.

2)

ასოციხების შეთანხმების ფაიგებში საქაიხვედოს მხაიეს აქვს ვადებულება ქაიხტუდ კანონმდებლობაში მასშედიის მომსახუების სფეიოში დანეიგოს სიძღვირის ენის დაიგუდიხების ისეთი ქმედიოთი მოდელი, ხომედიც, ეიხი მხიივ, შეესაბამება ევხოკავშირის ევხოდიხექტივას, ხოდო, მეოიე მხიივ, გაითვადისწინებს ქაიხტუდი მედიასფეიოს სპეციფიკას.

3)

ასოციხების შეთანხმების ფაიგებში საქაიხვედოს მხაიეს აქვს ვადებულება ქაიხტუდ კანონმდებლობაში მასშედიის მომსახუების სფეიოში დანეიგოს სიძღვირის ენის დაიგუდიხების ისეთი ქმედიოთი

მოდელი, ხომელიც, ერთი მხრივ, შეესაბამება ევხოკავშირის ევხოდიხეტიკვას, ხოლო, მეორე მხრივ, გაითვალისწინებს ქართული მედიასფეროს სპეციფიკას. ამ თვადსაზრისით, ერთ-ერთ ეფექტურ მოდელად შეიძლება განვიხილოთ თანახეგუდიხების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევე შეკითხვებს:

- წახმოადგენს თუ ახა ევხოდიხეტიკვით გათვალისწინებული თანახეგუდიხების მექანიზმი სიძუდვის ენის კონტექსტში ყველაზე ეფექტურ მოდელს?
- შეესაბამება თუ ახა თანახეგუდიხების გამოყენება ევხოდიხეტიკვის მოთხოვნებს სიძუდვის ენის შემთხვევაში?
- იმის გათვალისწინებით, რომ თანახეგუდიხება სიძუდვის ენის შემთხვევაში ახ გამოიყენება ახც ერთ ევხოპუდ ქვეყანაში, ხამდენად ადეკვატუხია საქართვედროში ხეგუდიხების აღნიშნული ფოხმის დანეხგვა?

სტუდენტებმა უნდა განიხილონ თითოეული ვარიანტი და იმსჯელონ, რომელი მათგანი ასახავს ამომწურავად სამიზნე საკითხს, იძლევა პრობლემის ამომწურავი ანალიზის შესაძლებლობას და შეიცავს განსახილველ ქვესაკითხებს. მსჯელობის ბოლოს სტუდენტებს გამოაქვთ დასკვნა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკვლევი საკითხი და როგორ უნდა დაისვას პრობლემა ანალიტიკურ ტექსტში და რა სტრატეგიებისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებაა ყველაზე ეფექტური ამ თვალსაზრისით.

საშინაო დავალების სახით სტუდენტებმა ჯგუფურად უნდა შეასრულონ შემდეგი დავალება, კერძოდ, დაამუშაონ მოძიებული მასალა და ციტირების წესებისა და აკადემიური ენის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნან ტექსტი, რომელშიც მიმოხილული იქნება საკითხი და შესაბამისი თეორიული ლიტერატურა. გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა გადაამუშაონ სემინარზე გაანალიზებული ძირითადი დებულების/განსახილველი პრობლემის შერჩეული ვარიანტი და გარკვეული მოდიფიცირებისა და დამუშავების შემდეგ გამოიყენონ თავიანთ ესეში.

პრობლემის მიმოხილვის საფუძველზე სტუდენტებმა უნდა დასვან განსახილველი პრობლემა, რომელშიც გამოყოფილი იქნება განსახილველი საკითხები.

მესამე კვირა

დავალების შესრულების მესამე კვირას სტუდენტები ჯგუფებში კითხულობენ ერთმანეთის მიერ შექმნილ ტექსტს, რომელიც მოიცავს ლიტერატურისა და პრობლემის მიმოხილვას და განიხილავენ სხვა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ პრობლემის დასმასა და განსახილველ შეკითხვებს, გამოყოფენ და აანალიზებენ ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ამავე კვირას სამსჯელო საკითხი უკავშირდება არგუმენტის რაობას. სტუდენტებმა ჯგუფებში უნდა იმსჯელონ, თუ რა არის არგუმენტის მთავარი ფუნქცია, რა შეიძლება იქცეს არგუმენტად, ქვეარგუმენტად და კონტრარგუმენტად. სტუდენტებმა უნდა განიხილონ აგრეთვე არგუმენტირებული მსჯელობის აგების სტრატეგიები. მოსაზრებების შეჯერების შემდეგ სტუდენტებს წარმოდგენა ექმნებათ არგუმენტირებული მსჯელობის მოთხოვნებისა და ფორმატის შესახებ. ამავ, სემინარზე ლექტორი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას SCQA და SWOT ანალიზის მიდგომების შესახებ და წარუდგენს მსჯელობის აგების შესაბამის ნიმუშებს.

საშინაო დავალების ფორმატით სტუდენტებმა უნდა დაამუშაონ მათ ხელთ არსებული მონაცემები, კერძოდ, გაანალიზონ, რა გამოდგება არგუმენტად, ქვეარგუმენტად და კონტრარგუმენტად, და თითოეულ განსახილველ საკითხს დაუკავშირონ შესაბამისი არგუმენტები, რათა შემდგომში შეძლონ არგუმენტირებული მსჯელობის ჩამოყალიბება. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ მათთვის მისაღები SCQA ან SWOT ანალიზის მიდგომები და ააგონ შესაბამისი კონცეპტუალური რუკები.

მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტებმა შეარჩიეს შემდეგი განსახილველი ქვესაკითხი - ევხოდიხეტიკვით გათვალისწინებული თანახეგუდიხების მექანიზმი სიძუდვის ენის კონტექსტში საქართვედროსთვის ყველაზე ეფექტურ მოდელს წახმოადგენს - მათ შეიძლება გამოიყენონ შემდეგი არგუმენტები და ქვეარგუმენტები:

- ევხოდიხეტიკვაში მოცემული ინფოხმაცია;
- თანახეგუდიხების მექანიზმების სახეები და ფოხმები;
- თანახეგუდიხების მექანიზმების ფუნქციონიხების პიხობები, სფეხო და ახსებული საეხთაშოხისო გამოცდილება;

- თანახვედრიების მექანიზმების თავსებადობა ქაჩთურ საკანონმდებლო ბაზასთან;
- თანახვედრიების მექანიზმების თავსებადობა საქაჩთველოს მედია მომსახუხების სფეხოსთან;
- ევხოკავშიხის ექსპეხტების მოსაზხებები;
- ქაჩთვედი ექსპეხტების მოსაზხებები;
- ცადკუდი დამოუკიდებედი კვლევის შედეგები;
- სტუდენტების მიეხ ჩაწეხიდი ინტეხვიუს ანადიზი (ასეთის ახსებობის შემთხვევაში).

მეოთხე კვირა

დავალების შესრულების ამ ეტაპზე განიხილება ესეს სტრუქტურა. სტუდენტები დამოუკიდებლად მსჯელობენ ესეს სტრუქტურაზე და ძირითადი ნაწილის აგების პრინციპებზე. ჯგუფური მუშაობის მონაწილეები მსჯელობენ აბზაცის სტრუქტურაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რომელი სტრატეგია შეიძლება იყოს ეფექტური აბზაცის აგებისა და განვითარებისთვის, რა ტიპის ენობრივი საშუალებების გამოყენება შეიძლება იყოს მიზანშეწონილი ამ თვალსაზრისით. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტები განიხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებული აბზაცის ორ ნიმუშს და განიხილავენ რომელია ეფექტური და რატომ. ლექტორი ამონებს ჯგუფური მუშაობის საბოლოო შედეგებს. ქვემოთ წარმოდგენილია განსახილველი აბზაცების ნიმუშები:

1) წაჩმოდგენიდი კანონპოექტის მიღების შემთხვევაში საქაჩთველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა აუდიოვიზუალუხი მედია მომსახუხებების შესახებ 2010/13/EU ევხო დიექტივის დღეს მოქმედ ხედაქციასთან. კანონპოექტის მიღების შემთხვევაში კანონმდებლობით განისაზღვრება ჩამდენიმე წესი. წესები გაითვადისწინებს ტექნოლოგიუხი განვითაჩების ტენდენციებს და უზხუნვედყოფს ეხთიან თანაბაჩ პიხობებს ბაზაჩზე გამოჩენიდი აუდიოვიზუალუხი მედიის ახადი სახეებისთვის. კანონპოექტით განსაზღვრული წესების მიზანია კუდტუხუდი მჩავადფეხოვნების შენაჩჩუნება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიხებისთვის აუდიოვიზუალუხი მედია მომსახუხებების ხედმისაწვდომობის უზხუნვედყოფა, აჩასხუდწლოვანთა და მომხმაჩებელთა დაცვა, მედია პლუჩადიზმის უზხუნვედყოფა და სხვადასხვა ნიშნით სიძუდვიდის ენის გავხცელების, ტეხოჩიზმის წაქეხების შემცვედ პოეგჩამებსა და ხეკლამებზე ეფექტიანი ხეაგიხების, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პოეგჩამებისა და ხეკლამების გავხცელების თანმდევი ხისკებისა და შედეგების ეფექტიანი პივენციის მექანიზმის შექმნა.²

2) „მუწყებლობის შესახებ“ საქაჩთველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპოექტის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევხოკავშიხისა და საქაჩთველოს ასოციხების ხედშეკუდებით ნაკისხი ვადებულებების განსოხციელების მიმაჩთულებით, ჩადგან აღნიშნული კანონპოექტის მიღების შემთხვევაში საქაჩთველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა აუდიოვიზუალუხი მედია მომსახუხებების შესახებ 2010/13/EU ევხო დიექტივის დღეს მოქმედ ხედაქციასთან. კანონპოექტის მიღების შედეგად კანონმდებლობით განისაზღვრება ჩამდენიმე მნიშვნელოვანი წესი, რომლებიც გაითვადისწინებს ტექნოლოგიუხი განვითაჩების ტენდენციებს და უზხუნვედყოფს ეხთიან თანაბაჩ პიხობებს ბაზაჩზე გამოჩენიდი აუდიოვიზუალუხი მედიის ახადი სახეებისთვის. კანონპოექტით განსაზღვრული წესების მიზანია, ეხთი მხივ, კუდტუხუდი მჩავადფეხოვნების შენაჩჩუნება, ხოლო, მეოხე მხივ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიხებისთვის აუდიოვიზუალუხი მედია მომსახუხებების ხედმისაწვდომობის უზხუნვედყოფა, აჩასხუდწლოვანთა და მომხმაჩებელთა დაცვა. გაჩდა ამისა, კანონპოექტი მიზნად ისახავს მედია პლუჩადიზმის უზხუნვედყოფასა და სხვადასხვა ნიშნით სიძუდვიდის ენის გავხცელების ხეგუდიხების მოდებების შექმნას, ასევე, ტეხოჩიზმის წაქეხების შემცვედ პოეგჩამებსა და ხეკლამებზე ეფექტიანი ხეაგიხების ინსტრუმენტების შემუშავებას. კანონპოექტის ფაჩგებში შემუშავება, აჩეთვე, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პოეგჩამებისა და ხეკლამების გავხცელების თანმდევი ხისკებისა და შედეგების ეფექტიანი პივენციის მექანიზმი. შედეგად, შეიქმნება ჯანსალი დემოკჩატიუდი გაჩემო, რომელშიც, დაცუდი იქნება, მოქადაქეების უფდებები და, ამავე დხოს, მხევედლობაში იქნება მიღებული მედიასუბიექტების მოთხოვნები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამის მისაღწევად აუცილებელია სიძუდვიდის ენის ხეგუდიხების ისეთი ეფექტუხი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ეხთ მხივ, დაეყხდნობა ევხოდიექტივის მოთხოვნებს, ხოლო, მეოხე მხივ, მასში გათვადისწინებული იქნება ქაჩთუდი ხეადობა და ყველა იმ აქტოხის ინტეხესები, რომლებზეც გავხცელება აღნიშნული კანონით მიღებული ხეგუდაციები.

² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ტექსტი ადაპტირებულია კურსის საჭიროებებიდან გამომდინარე)

დამოუკიდებელი მუშაობის ფარგლებში სტუდენტები ქმნიან ესეს ძირითად ნაწილსა და შესაბამის აბზაცებს.

მეხუთე კვირა

ახალ საკითხებზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტები ამონებენ ერთმანეთის მიერ შესრულებულ ტექსტებს და ჯგუფურად განიხილავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, მოჰყავთ სათანადო არგუმენტები და ერთმანეთს სთავაზობენ შესაბამის რეკომენდაციებს.

დავალების შესრულების მეხუთე კვირა ეთმობა ავტორის პოზიციის ჩამოყალიბების წესებსა და ესეს დასკვნითი ნაწილის შექმნას. ამ შემთხვევაშიც სტუდენტები ჯგუფურად მსჯელობენ იმაზე, თუ რომელი სტრატეგია იქნება ეფექტური ესეს შესაბამისი ნაწილის შესაქმნელად, რა ტიპის ინფორმაცია უნდა მოხვდეს დასკვნაში და როგორ და რა ენობრივი საშუალებების გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს ავტორის შეფასებები, პოზიციები და პრობლემის გადაჭრის გზები.

საშინაო დავალებაზე მუშაობის პროცესში სტუდენტები ითვალისწინებენ შენიშვნებს და გადაამუშავებენ ესეს ძირითად ნაწილს, ამავე დროს ქმნიან დასკვნით ნაწილს და აყალიბებენ თავიანთ შეფასებასა და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზებს. შექმნილი არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე სტუდენტებმა უნდა გამოიტანონ დასკვნა, მედიამომსახურების სფეროში ევროდირექტივის განხორციელებისა და სიძულვილის ენის რეგულირების რომელი მოდელია ყველაზე ეფექტური და რატომ, აგრეთვე, შერჩეული მოდელის დანერგვის რომელი სტრატეგია და საშუალებებია ყველაზე ადეკვატური და რატომ.

მექვსე კვირა

შესრულებული საშინაო დავალების განხილვის შემდეგ სტუდენტებმა უნდა იმსჯელონ შესავლის ფუნქციასა და სტრუქტურაზე, აგრეთვე, შესავლის შექმნის ეფექტურ სტრატეგიებზე. სტუდენტებმა უნდა განიხილონ ლექტორის მიერ მიწოდებული შესავლის რამდენიმე ნიმუში და უნდა შეარჩიონ ყველაზე მისაღები ვარიანტი. პასუხები უნდა დაასაბუთონ შესაბამისი არგუმენტებით.

საშინაო დავალების სახით სტუდენტებმა უნდა შექმნან დავალების თემასთან დაკავშირებული ესეს შესავალი.

მეშვიდე კვირა

მეშვიდე კვირა წარმოადგენს დავალების შესრულების ბოლო შემაჯამებელ ეტაპს. სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაონ ესეს შეფასების კრიტერიუმები, განიხილონ ერთმანეთთან და ამის შემდგომ შეაფასონ ერთმანეთის მიერ შექმნილი ესეები. დავალების საბოლოო შეფასებას ახორციელებს ინსტრუქტორი. დავალების შესრულების პროცესში შექმნილი ესეების საფუძველზე ლექტორმა ამომწურავი წერილობითი უკუკავშირი უნდა მიანოდოს სტუდენტებს.

ლექტორის როლი:


აღწერილი სასემინარო მუშაობა არის პრაქტიკული ხასიათის და მაქსიმალურად სტუდენტზე ორიენტირებული. რაც შეეხება ლექტორის როლს, სემინარის მსვლელობისას ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს გადაწყვეტილებების მიღებაში, სწორი დასკვნების გამოტანასა და ადეკვატური სტრატეგიების შერჩევაში. გარდა ამისა, ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტებს მასალის მოძიებასა და წერის პროცესის ეფექტურად წარმართვაში. ყოველი სემინარის ბოლოს ლექტორი სტუდენტებს აძლევს ვერბალურ უკუკავშირს. შესაბამისად, ამ ტიპის მუშაობის წარმართვის დროს მასწავლებელი არის დამკვირვებელი, ფასილიტატორი და მხარდამჭერი.

3. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები:

განხილული დავალება ეფუძნება სწავლების რამდენიმე მოდელს, კერძოდ, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა, პროცესზე დაფუძნებული წერა, პროდუქტზე დაფუძნებული წერა და თანამშრომლობითი წერა. გარდა ამისა, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა აღნიშნულ აქტივობაში ორმაგ დატ-

ვირთვას ატარებს. ერთი მხრივ, სტუდენტები მსჯელობენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაზე, ხოლო, ხოლო მეორე მხრივ, განიხილავენ აკადემიური ნაშრომის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ორივე ტიპის ამოცანის გადაჭრა სინქრონიულად მიმდინარეობს, უშუალოდ უკავშირდება და ავსებს ერთმანეთს. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობენ ჯგუფებში და დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და არჩევენ შესაბამის სტრატეგიებს. საბოლოო შედეგებს კი ამონებენ ინსტრუქტორთან ერთად. მუშაობის პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

ცხილი N1. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის სწავლის მიდგომით განსახილველი დავალების სქემა:



აკადემიური წერის კურსის სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების გამოცდილების გათვალისწინებით, ამ სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ დავალების შესრულების დროს, ძირითადად, სტუდენტების მიერ გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები: ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ვარაუდის გამოთქმა, SCQA და SWOT ანალიზი, წყაროებზე მუშაობა.

4. შეფასების ტიპები:

დავალბების მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა შეფასების ადეკვატური და ეფექტური შეფასების სისტემა. ამ თვალსაზრისით მასწავლებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასება, ჯგუფური მუშაობის შედეგად მიღებული ქულა თანაბრად დაენერება ყველა მონაწილეს. გარდა ამისა, გამოყენებულ უნდა იქნას მიმდინარე განმავითარებელი

შეფასება. მასწავლებლის ვერბალური და წერილობითი უკუკავშირი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტების მოტივირებისა და პროგრესის შეფასების თვალსაზრისით. უკუკავშირის დროს ლექტორმა სტუდენტებს უნდა განუმარტოს შესრულებული დავალების სუსტი და ძლიერი მხარეები, რათა შემსწავლელებმა შეძლონ წერისა და პრობლემის გადაჭრის პროცესში შემდგომი რისკების თავიდან აცილება. მნიშვნელოვანია შეფასების კიდევ ერთი ფორმა, სტუდენტების მიერ ერთმანეთის ნაშრომების შეფასება და რეცენზირება, წერილობითი და ზეპირი უკუკავშირის ჩამოყალიბება.

5. დავალების სუსტი მხარეები


მიუხედავად იმისა, რომ განხილული დავალება მთლიანად სტუდენტზეა ორიენტირებული, განხორციელების პროცესში რამდენიმე რისკფაქტორი და სუსტი მხარე შეიძლება გამოიკვეთოს. პირველ რიგში, პრობლემა შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ჯგუფების შემადგენლობის შენარჩუნება დავალების შესრულების შვიდივე კვირის განმავლობაში. გარდა ამისა, ჯგუფებში მუშაობის დროს ყველა სტუდენტი შეიძლება არ იყოს თანაბრად ჩართული და აქტიური, რამაც შეიძლება ნაკლებად აქტიური სტუდენტების დემოტივაცია გამოიწვიოს. ამ რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია იმით, რომ ჯგუფების დაკომპლექტებისას და ყოველი აქტივობის განხორციელების წინ სტუდენტებს გადაუნაწილდეს როლები და ის შესასრულებელი ამოცანები, რომლებზეც თითოეული მათგანი დამოუკიდებლად იქნება პასუხისმგებელი.

კიდევ ერთი რისკფაქტორი, რომელმაც დავალების ეფექტურად განხორციელება შეიძლება შეაფერხოს, არის თანამშრომლობითი წერიტი აქტივობა. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნაკლებად გამოიყენება წერილობითი ტექსტის ჯგუფურად შექმნის სტრატეგია, ამდენად სტუდენტებისთვის ეს შეიძლება ნაკლებად კომფორტული დავალება იყოს. თუმცა, ამ საკითხის მოგვარებაც როლების გადანაწილებით იქნება შესაძლებელი, როდესაც ერთი აქტივობის ფარგლებში თითოეული სტუდენტი სხვადასხვა ამოცანის შესრულებაზე იქნება პასუხისმგებელი, მოიძიებენ განსხვავებულ მასალას და ამის საფუძველზე ერთად შექმნიან წერილობით დავალებას.

საბოლოო შედეგები და დასკვნა

განხილული დავალება მნიშვნელოვანია რამდენიმე შედეგის მიღების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, დავალების შესრულების პროცესში სტუდენტები გაიღრმავებენ დარგობრივ ცოდნას (როგორც აკადემიური წერის, ისე ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების მიმართულებით) და აიმაღლებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. მიღებული ცოდნის საფუძველზე ისინი შეძლებენ პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. წყაროების მოძიება და წყაროებზე მუშაობა დაეხმარება სტუდენტებს კვლევის უნარების გამომუშავებაში, ხოლო ყველა აღნიშნული ამოცანის შესრულება საბოლოოდ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შექმნან არგუმენტირებული, ანალიტიკური ტექსტი, რაც წერის უნარების განვითარების საფუძველი გახდება.

ცხიდი N2 პრაქტიკული დავალების შედეგების აღწეხა



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის დავალების შესრულება შესაძლებელია კურიკულუმთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამსჯელო და პრობლემურ საკითხზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების საგნობრივი კომპეტენციის ამაღლებას. მეორე მხრივ, სტუდენტები პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების მიხედვით ინსტრუქტორის დახმარების გარეშე დამოუკიდებლად გაიაზრებენ და იმსჯელებენ არგუმენტირებული ესეს შექმნის ეტაპებსა და პრინციპებზე და, ამავე დროს, დავალებისთვის განკუთვნილ დროში ჯგუფურად შექმნიან ამ ტიპის ვრცელ წერილობით ნაშრომს. სტუდენტები იმუშავებენ დამოუკიდებლად, თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რა მასალა გამოიყენონ და როგორ დაამუშაონ. ინსტრუქტორი ამ შემთხვევაში ასრულებს, დამკვირვებლის, მხარდამჭერისა და ფასილიტატორის როლს. შედეგად სტუდენტებს უვითარდებათ როგორც წერის, ისე დამოუკიდებელი კვლევის უნარები, ასევე, ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობითი სწავლის უნარები. საბოლოო ჯამში კი, ამ ტიპის აქტივობები ემსახურება ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, რაც პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის ერთ-ერთი საბაზისო კომპონენტია და აკადემიური წერის კურსის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

- Arends, R. (2012). *Learning to Teach*. New York: McGraw Hills Companies.
- Aryanti, N., Ardiansyah, W., & Ujihanti, M. (2018). Problem-Based Learning Model for Teaching Writing: A Literature Review. *Journal Polingua Scientific Journal of Linguistics Literature and Education* 7(2), 32-36. DOI: 10.30630/polingua.v7i2.70
- Blythe, H., & Sweet, C. (2008). The writing community: A new model for the creative writing classroom. *Pedagogy: Critical Approaches to Teaching Literature, Language, Composition, and Culture*, 8(2), 305-325. Doi: 10.1215/15314200-2007-042
